პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 29 თებერვალი, პარასკევი
№ 9 (2186)
გამოცემის 49-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა





კრემლის ყრილობათა სასახლე. დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ახლანდელი არჩევნები მიმდინარეობს ორი ათწლეულის მიჯნაზე. წარსულის კუთვნილება გახდა სამოცდაათიანი წლები. დგება ახალი ათწლეული და, ალბათ, ყოველი ჩვენგანი ფიქრობს: როგორი იქნება იგი, ეს ოთხმოციანი წლები? რას მოგვიტანს? როგორ წარიმართება ადამიანთა ბედი, ხალხთა და სახელმწიფოთა ბედი? რა თქმა უნდა, მომავალი მუდამ შეიცავს მოულოდნელობებს, მოვლენათა ისეთ შემობრუნებას, რომელთა გამოცნობა ძნელია. და მაინც ჩვენ, კომუნისტებს, გვჯერა — და არა მარტო გვჯერა, — დარწმუნებული ვართ, ვიცით, რომ ოთხმოციანი წლები იქნება კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა წლები. ოთხმოციანი წლები იქნება მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცებისა და განვითარების, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საქმეში ახალი წინსვლის წლები.

**ლ. ი. ბრეჟნევი**

## რწმენით შევყურებთ მომავალს

მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ დღეებში მიპყრობილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვისადმი, რომელიც წარმოთქვა კრემლის ყრილობათა სასახლეში, ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

„მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მანიფესტი“ — ამგვარად აფასებს მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვას, რომელშიც მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების დინჯი, ღრმა მეცნიერული ანალიზი.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1980 წლის 22 თებერვლის არჩევნებისწინა სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელების ორგანიზატორული და იდეოლოგიური უზრუნველყოფის შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ამხანაგ ბრეჟნევის სიტყვა „უდიდესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. ამ სიტყვაში მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ღრმად და ყოველმხრივ არის გაშუქებული საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სურათი, საფუძვლიანად არის გაანალიზებული თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება, დადასტურებულია მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც ვილვაწოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის“...

დღეს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ყველაფერს აკეთებს საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისათვის, როცა დავიწყებას ეძლევა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მეთაურების მრავალი დაპირება სამშვიდობო პოლიტიკის თაობაზე, საბჭოთა ქვეყნის მეთაური გამოდის რწმენითა და იმედით აღსავსე სიტყვით და მთელი მსოფლიოს ადამიანებს არწმუნებს, რომ ოთხმოციანი წლები იქნება მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საქმეში ახალი წინსვლის წლები, რომ დღეს, ოთხმოციანი წლების მიჯნაზე, როცა ჩაღდება მზადება პარტიის XXVI ყრილობისათვის, ყველა საფუძველი გვაქვს მშვიდად და რწმენით შევყურებდეთ მომავალს. საბჭოთა ქვეყანა, პირადად ამხანაგი ბრეჟნევი, ფრანგული გაზეთის „ლუმანიტეს“ სიტყვით რომ ვთქვათ, „ამერიკულ ომის ისტერიის „დოქტრინას“ უპირისპირებს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკას“.

საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის მეთაურის ეს სამშვიდობო, რწმენით აღსავსე გამოსვლა განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრის მწერლობას. მწერლის სიტყვა ხომ მუდამ მშვიდობისა და ჰუმანიზმის სახელით ნათქვამი სიტყვაა. მწერალი ხომ მუდამ კაცობრიობის მოწინავე იდეალების მხარდამჭერი და მხურვალე პროპაგანდისტია. და დღეს, როცა დედამიწაზე არ არსებობს უფრო დიდი და სასიცოცხლო პრობლემა, ვიდრე მშვიდობაა, ქართველ მწერალთა ხმა უერთდება მთელი საბჭოთა ხალხის ხმას. ქართული მწერლობა მუდამ იქნება იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები წყდება. ჩვენი ქვეყნის სიძლიერე ხომ მშვიდობის ძალთა სიძლიერეს ნიშნავს.

ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვები ერთიანად ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის: „ჩვენ მტკიცედ ვატარებთ მაღლა ჩვენი ლენინური საგარეო პოლიტიკის დროშას — ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშას, სოციალური პროგრესის დროშას“.

## ჩვენი მშვიდობიანი ზეცა

მშვიდობა კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია და თითოეული ჩვენთაგანის ამოცანაა შრომითი თავდადებით, სამშობლოს სიყვარულით განვამტკიცოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. აი, სწორედ ეს ვიგრძენი უპირველეს ყოვლისა ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის წინასაარჩევნო გამოსვლაში.

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტი, მისი მრავალრიცხოვანი აქტივი, რომელიც რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეებს აერთიანებს, ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვამ კიდევ უფრო დაგვრაზმა, რომ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ჩვენი ცა იყოს სინათლისა და სითბოს, სიმშვიდისა და ნათელი ცხოვრების მომნიჭებელი.

ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ ციდან წამოვა სიცოცხლის შემმუსვრელი შავი ღრუბელი.

ამხანაგ ბრეჟნევის წინასაარჩევნო გამოსვლა ყველა მოქალაქეს, ვინც კი მშვიდობის დიდი საქმისათვის იბრძვის, ბევრს ავალებს.

**იოსებ ნონეშვილი,**
მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

## იმედის სიტყვა

ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვა უდიდეს იმედს აღუძრავს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა. ამაზე უკეთესს წინასაარჩევნო დღეს საბჭოთა ადამიანებს ვერაფერს ეტყოდი. ესაა სამშვიდობო, სამეგობრო, სამომავლო სიტყვა. მღელვარების გარეშე ვერავინ მოისმენდა ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ხელმძღვანელის ამ დინჯ, შორსმჭვრეტელურ, ადამიანური სიყვარულით გამთბარ გამოსვლას, რომელშიც მოჩანს კომუნისტური პარტიის სამშვიდობო პოლიტიკის მთელი სიდიადე.

საბჭოთა ქვეყნის ყოველი პატრიოტი მოქალაქე სიამაყით განიმსჭვალება იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ მტკიცედ დგას მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ჩემთვის, როგორც მწერლისათვის, ამხანაგ ბრეჟნევის სიტყვა შთაგონების წყაროცაა. იგი იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი შემოქმედებითი შრომა კვლავ მშვიდობიან ატმოსფეროში წარიმართება, ლექსი, მხატვრული სიტყვა საერთოდ, განუყრელი იქნება ხალხის ცხოვრებისაგან.

ვემსახუროთ ჩვენს დიად ქვეყანას, ვიდგეთ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის წინა ხაზზე — ამას შთაგვაგონებს ამხანაგ ბრეჟნევის წინასაარჩევნო გამოსვლა.

**ფრიდონ ხალვაში**

## მსოფლიო ერთსულოვნებისათვის

კიდევ ერთხელ ირწმუნა გულმა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაა საჭირო. არავითარი ჭოჭმანი და არავითარი დათმობა, როცა საქმე ხალხის კეთილდღეობას ეხება! ლეონიდ ბრეჟნევის რწმენით აღსავსე სიტყვა ჩვენ ხალხს კვლავ განაწყობს მშვიდობიანი შრომისათვის. ამ მშვიდობიან შრომას კი სამშვიდობო ამინდი სჭირდება ისევ. ამ ამინდს მსოფლიო ერთსულოვნება შექმნის. ამ ერთსულოვნებისათვის გვმართებს შემართება.

მწერლის სიტყვას ასეთ დროს ძალზე დიდი რეზონანსი აქვს. მას ხალხის სულისკვეთება ჰქვია და იგი კვლავ ხალხისადმი მარადიული და უანგარო ერთგულებით უნდა იყოს გამსჭვალული.

**მორის ფოცხიშვილი**

## მშვიდობაა მბრძანებელი

წარსულ დღეთა გახსენება
სულში სევდის ღრუბელს აშლის...
ყრმა რომ ჩოხას ჩაიცვამდა,
დალოცავდნენ — მშვიდობაში!

სულ მშვიდობის გვქონდა ნატვრა,
სულ მშვიდობას შევხაროდით,
მშვიდობისთვის გვიბრძოლია,
ჩვენი გზები ასე მოდის.

ვაცისარტყლეთ არხებით და
ვენახებით მიწის მკერდი
და მშვიდობის გაშლილ ალამს
ამ შრომაში ვიფიცებდით.

და ამ შრომის მწვერვალიდან,
ზედ რომ ზრუნვის მადლი ენთო,
გადამთიელს ვცემდით პასუხს
კვლავ მშვიდობის სასიკეთოდ.

მაგრამ ეს რა მუქარაა,
თაფლში ბალღამს ეს ვინ ურევს?
მტერი ისევ იღრინება,
კვლავ იარაღს აჟღარუნებს.

— გზა გადვუჭრათ! — ჩურჩულებენ
დედის წმინდა მერდინები
და მას ერთვის სტალინგრადთან
ხმა დაცემულ დევგმირების.

გაიხსენონ, რით დასრულდა
სისხლიანი ქარწვიმები! —
გუგუნებენ რაიხსტაგთან
ფრთაგაშლილი არწივები.

აღარ გადაიბინდება
ლურჯი ცა და მწვანე ველი,
ახლა მხოლოდ მშვიდობაა
დედამიწის მბრძანებელი.

**ვახტანგ გორგანელი**

## რუსთაველის პრემიები გადაეცათ

22 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებსაც 1979 წელს მიენიჭათ ეს მაღალი წოდება ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ ლაურეატის დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადასცა სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. ანჯაფარიძეს, პოეტ ფ. ხალვაშს, საქართველოს სახალხო არტისტს, რეჟისორ თ. აბულაძეს, საქართველოს სახალხო არტისტს, დირიჟორ ჯ. კახიძეს, რეჟისორ ი. ჩხაიძეს, ოპერატორ ი. ონოფრიშვილს, აგრეთვე, საქართველოს სახალხო მხატვრის ს. ქობულაძის ვაჟს მ. ქობულაძეს. ს. ქობულაძე რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოებულია სიკვდილის შემდეგ.

ამხანაგმა ზ. პატარიძემ გულთბილად მიულოცა ლაურეატებს, ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა მათ და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი კიდევ ბევრ მკაფიო მხატვრულ სახეს, დასამახსოვრებელ ნაწარმოებებს შექმნიან, რომლებშიც შთაგონებით ადიდებენ მშრომელ ადამიანს, კომუნიზმის მშენებელს. — რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატობა, — თქვა მან, — უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ საყოველთაო-სახალხო აღიარება პოვეს თქვენმა შესანიშნავმა ნამუშევრებმა, რომლებმაც დაამშვენეს ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება, გაამდიდრეს საბჭოთა ხალხის სულიერი კულტურის ოქროს ფონდი.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა — რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებმა ვ. ანჯაფარიძემ, ფ. ხალვაშმა, თ. აბულაძემ უღრმესი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. ლაურეატის დიპლომებისა და სამკერდე ნიშნების გადაცემას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე. (საქინფორმი).



## შენდება თბილისი



ფოტოები ზ. დათუაშვილისა.

# სიტყვა ეძლევა კრიტიკოსს

[illegible]

## ლევან ბრეგაძე:

1. დღევანდელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვცხოვრობთ ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრებით. ვერიდებით დისკუსიებს. მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენაზე განსხვავებული აზრების არსებობა ჩვენში ჯერაც თავზარდამცემად მოქმედებს და ყოველნაირად ვცდილობთ ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისებმა (განსაკუთრებით ცნობილი, სახელოვანი მწერლების შემოქმედებაზე) პრესაში არ გაჟონოს. ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში ერთსა და იმავე საგანზე განსხვავებული შეხედულებების არსებობა სრულიად ბუნებრივი რამ არის, მეტიც, ამის გარეშე განვითარება არ მოხდება (ყოველ შემთხვევაში, დიდად შეფერხდება). ისიც გავიხსენოთ, რომ ჩვენ უკონკურენციო საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ამიტომ პირუთვნელი კრიტიკის, აზრთა შეხლა-შემოხლის, როგორც პროგრესისაკენ ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებლის, მნიშვნელობა ჩვენთვის განსაკუთრებით იზრდება. ზოგადად ეს თითქოს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ კრიტიკის ჩამორჩენაზე საუბარი ტრადიციული გახდა. როგორც ჩანს, ჩვენი შეგნება, ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება ამ პრობლემის გადასაწყვეტად ჯერჯერობით მზად არ არის. ეს არის ჩვენი კრიტიკის უმთავრესი ნაკლი, ყველა სხვა ნაკლოვანებანი აქედან იღებს სათავეს.

ბოლო წლების ქართული ლიტერატურული კრიტიკის მთავარ მიღწევად ის მიმაჩნია, რომ ამაღლდა ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის დონე, გამოქვეყნდა რამდენიმე საუცხოო სტატია და კრებული, რომლებიც დიდი ინტერესითა და ხალისით იკითხება.

2. მიზეზი ბევრია. დავასახელებ რამდენიმეს:

ა) მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში გარკვევა, ჩვეულებრივ, უფრო ძნელია, ვიდრე კლასიკური ლიტერატურის კვლევა, ამიტომ ბევრი ლიტერატორი ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდის, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის თავისთავად ძალიან საპატიო, მაგრამ მაინც შედარებით ადვილი როლით კმაყოფილდება, იქ თავს უფრო მყუდროდ გრძნობს.

ბ) კრიტიკა ჩვენში ცუდ ტონად ითვლება. ხშირად გაიგონებთ ამგვარ ფრაზას: კაცს ამდენი უმუშავია, როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა მის ნაშრომზე აუგის სათქმელადო. საქმეში ჩაუხედავ ადამიანს, ვინც ასე მსჯელობს, ატყუებს ჩვეულებრივი ხალტურისტის მიერ გამოცემული წიგნების სისქე და რაოდენობა. თანაც, არც იმას ითვალისწინებენ, რომ ნამდვილი ლიტერატურის შესაქმნელად მარტო შრომისმოყვარეობა არ არის საკმარისი... ცუდი წიგნის გამოცემით გამოწვეულ ზარალზე (განსაკუთრებით მორალურ ზარალზე!) ამგვარ „დამცველთ" წარმოდგენაც არა აქვთ ხოლმე. ასეთი დამოკიდებულება, სამწუხაროდ, ბევრ ნიჭიერ კაცს კრიტიკოსობის ხალისს უკარგავს.

გ) ზოგჯერ შეიძლება კრიტიკოსი ძალიანაც აქტიურობდეს, მაგრამ ვერ აღწევდეს მიზანს, რადგან კრიტიკული წერილი, მოგეხსენებათ, პრესის რომელიმე ორგანოს ფურცლებზე უნდა გამოქვეყნდეს და თუ რედაქციებმაც არ იაქტიურეს, კრიტიკოსის ყოველგვარი აქტიურობა უქმად ჩაივლის.

დ) უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ საშუალო და ბრწყინვალე წერილების ავტორებს ჰონორარს ერთნაირად ვუნაზღაურებთ, რაკი მოცულობის მიხედვით ხდება ანაზღაურება. ესე იგი, ჩვენ, არსებითად, იმით კი არ ვაფასებთ ნაშრომს, რაც უმთავრესია მასში (პრობლემის აქტუალობა, ანალიზის სიღრმე და ორიგინალობა, ინფორმაციულობა, წერის კულტურა და ა. შ.), არამედ ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რამდენ ადგილს დაიკავებს ნომერში. მაშინ, როცა ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ შემთხვევაში მოცულობა და ხარისხი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში როდი არიან ერთმანეთის მიმართ.

3. ჩვენში იქმნება შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოებები თითქმის ყველა ჟანრში. მარტო ბოლო ათ-თხუთმეტ წელიწადში გამოქვეყნებული რომანების, მოთხრობების, ლექსებისა და პოემების სახითაც ძვირფასი საანალიზო მასალა დაგროვდა, მაგრამ საშუალო დონე, რასაც უნდა ემყარებოდეს ლიტერატურული პროცესის სტაბილურობა, მაინც მეტად დაბალია. ნამდვილი შედევრების გვერდით იბეჭდება უამრავი მიუტევებლად სუსტი ნაწარმოები. დაბალია ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილების დონეც.

4. ხშირად უნდა ეწყობოდეს საჯარო განხილვები და დისკუსიები. აუცილებლად უნდა გამოვცეთ ქართული და საზღვარგარეთული კრიტიკის ანთოლოგიები. ყოველწლიურად უნდა გამოდიოდეს კრებულები, რომლებშიც შევა წინა წელს ჩვენი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული საუკეთესო კრიტიკული წერილები.

## თეიმურაზ დოიაშვილი:

1. თქმა იმისა, რომ დღევანდელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის დონე მაკმაყოფილებს, მიღწეულით შემოფარგვლას ნიშნავს. კრიტიკოსი, რომელსაც არ აწუხებს „ალუვსებელი საწყაულის" განუკურნავი კომპლექსი, თვითკმაყოფილებას ეძლევა, კარგავს ძიების უნარს.

ფაქტების შელამაზების მომხრე არა ვარ, მაგრამ გადაჭარბებულად მიმაჩნია არაერთგზის გამოთქმული ნიჰილისტური აზრი: თანამედროვე ქართული კრიტიკა არ არსებობსო. განურჩეველმა ქებათა-ქებამ და დითირამბების ნიაღვარმა, მართლაც, შეარყია კრიტიკის პრესტიჟი. მიუხედავად ამისა, კრიტიკის „გაარაფრება" გაუმართლებელი უკიდურესობაა. ა. პუშკინი ამბობდა: „Состояние критики само по себе показывает степень образованности всей литературы". მაშასადამე, რა გამოდის? არ გვქონია... ლიტერატურაც!

ბოლო პერიოდის ქართულ კრიტიკაში ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შეიმჩნევა. ასეთად მესახება: შინაარსის პერიფრაზირების „ტრადიციის" რღვევა და მხატვრულ ნაწარმოებთან, როგორც ესთეტიკურ ფენომენთან მისვლა; ნაწარმოების სტრუქტურის, როგორც აზრობრივ-ფორმალური ერთიანობის, შეცნობისაკენ სწრაფვა; სუბიექტური ნაკადის შესუსტება — ლიტერატურათმცოდნეობაში შემუშავებული ანალიზის ობიექტური მეთოდებისა და ხერხების პრაქტიკული გამოყენების ცდა...

ნაკლოვანებათა რიგი გაცილებით გრძელია. ვიტყვი არსებითზე:

ქართულ კრიტიკას ყველაზე მეტად აკლია ნაწარმოების კონკრეტული ანალიზის კულტურა. ჩვენს წერილებში უხვადაა კონცეფციები, მოდელები, რთული აზრობრივ-ლოგიკური კონსტრუქციები, მაგრამ სანთლით საძებარია კონკრეტული დაკვირვებანი მწერლის ენაზე, სტილზე, მხატვრულ ოსტატობაზე. ამის გამო შეფასებები ზოგადია, ნაკლებად არგუმენტირებული, ზოგჯერ გარკვეულ შინაარსს მოკლებულიც კი.

კრიტიკის განვითარებას საგრძნობ დაბრკოლებას უქმნის ესეისტურ ფორმას ამოფარებული აზრის პრიმიტივიზმი, როდესაც უარიყოფა ესეს შინაგანი არსი და პრინციპები. „ლამაზი სტილის" პრეტენზიით მოწოდებულია ათასგვარი „წიაღსვლები", „შრეები" და „გაშინაგნებანი".

თანამედროვე ქართულ კრიტიკას განსაკუთრებით უჭირს მოვლენათა განზოგადება, რის გარეშე ძნელდება ლიტერატურული პროცესის გააზრება, არსებული ტენდენციების გაცნობიერება, პერსპექტივის განჭვრეტა. იშვიათია პრობლემური წერილები, კამათი მათ გარშემო. ქართულ კრიტიკაში მყუდროებაა ჩამომდგარი, რაც იმდენად პოზიციათა ერთგვარობაზე არ მიგვანიშნებს, რამდენადაც კრიტიკული აზრის უმოქმედობასა და ინერტულობაზე...

2. მიზეზი არცთუ ცოტაა. კრიტიკოსმა ჯ. ღვინჯილიამ ახლახან გამოცემულ წიგნში „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში" რეალურ მიზეზთა მთელი კომპლექსი გამოავლინა. მე მხოლოდ ერთ ასპექტს შევეხები:

„ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე პოეტმა შ. ნიშნიანიძემ დაწერა: „როგორ უნდა მოვთხოვოთ ამ ხალხს (კრიტიკოსებს — თ. დ.) ობიექტურობა და კრიტიკული სიმძაფრე, როცა მთელი ქართული მწერლობა რამდენიმე სახლში ვცხოვრობთ; უმრავლესობას საბავშვო ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი, ასპირანტურა ერთად გვაქვს დამთავრებული, ერთადაც ვმსახურობთ; მეზობლებიც ვართ, მეგობრებიც, ნათელ-მირონებიც და ნათესავებიც".

ქართველი კრიტიკოსისათვის, მართლაც, ძნელია ამ ბარიერის გადალახვა. იგი დგება არა მარტო წმინდა ლიტერატურული, არამედ ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პრობლემის წინაშეც. მაგრამ ვის, თუ არა კრიტიკოსს, უნდა ახსოვდეს, რომ ის მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის" არ არის მოვლენილი. ვისაც არ ძალუძს ქართული მწერლობის ინტერესებისათვის ნათესაურ-მეგობრულ ურთიერთობებზე ამაღლება, ის ვერასდროს გასწევს პატიოსნად კრიტიკოსის ჭაპანს.

მაგრამ ვეხმარებით კი იმათ, ვინც დაძლიეს ზემოხსენებული ბარიერი? წერილიდან მკითხველამდე — რედაქციაა. რედაქციები, რომელთაც არაერთხელ ურგებიათ დაუმსახურებელი საყვედური და განაწყენებულ ავტორთა გულისწყრომა, სიფრთხილით ეკიდებიან კრიტიკული წერილის ბეჭდვას. მათ უნდა გაითვალისწინონ არა მარტო ლიტერატურული ღირსება წერილისა, არამედ ის არალიტერატურული მითქმა-მოთქმაც, რომელიც მის გამოქვეყნებას მოჰყვება. ასე იბადება თანდათან აზრი წერილის გადაკეთება-შელამაზებისა, ანდა... დელიკატური უარისა. ახლა ვიკითხოთ, რა სულიერი განწყობილება ეუფლება კრიტიკოსს, რომელიც „შეცდა" და პრინციპულობა მოინდომა? თავისი პროფესიის უმადურობაში კიდევ ერთხელ დარწმუნებული, იგი ან „აქტიური დუმილის" პოზიციას ირჩევს — წერს მხოლოდ იმაზე, რაც მოსწონს, ანდა საერთოდ ტოვებს ასპარეზს. უფრო უარესი კი აქ სხვა რამაა: შექმნილ სიცარიელეს ავსებს რომელიმე „ალღოიანი" კალმოსანი, რომელიც დაუზარელია ქება-დიდებაში, უშურველად ფანტავს ალმატებით ეპითეტებს და ჰიპერბოლებს. უფასურდება კრიტიკოსის სიტყვა, ილახება კრიტიკის პრესტიჟი.

თუ ნამდვილ კრიტიკოსს არ ვენდეთ და მხარი არ დავუჭირეთ, იგი, ადრე თუ გვიან, ჩამოშორდება „აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას", მოძებნის მყუდრო ნავსაყუდელს.

3. დღევანდელი ქართული პოეზიისა და პროზის უკეთესი ნიმუშები თავისი პრობლემატიკით თუ ჟანრობრივ-სტილისტური ძიებით მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან. მაშასადამე, ქართველ კრიტიკოსს საშუალება აქვს შეძლებისდაგვარად გაიაზროს და იკვლიოს გლობალური მნიშვნელობის პრობლემები ნებისმიერ ასპექტში. საერთოდ, ქართულ მწერლობას დღეს ისეთი კრიტიკა აქვს, როგორსაც ის იმსახურებს.

4. ყოველი ღონისძიება, შემოქმედებითი თუ ორგანიზაციული ხასიათისა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კრიტიკოსის იდეურ-ესთეტიკურ ზრდას და მისი ავტორიტეტის განმტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ, მწერლებში კრიტიკისადმი „იმუნიტეტს" გამოიმუშავებს, უთუოდ დადებით შედეგს გამოიღებს. სადღეისოდ, ჩემი აზრით, გადაუდებელი ამოცანაა თანმიმდევრული ბრძოლა სახოტბო, პანეგირიკული წერილების წინააღმდეგ. ორიოდე წლის წინ ერთ-ერთ პედაგოგიურ ორგანოში ერთ თანამედროვე პოეტზე ისეთი ეპითეტებით გაწყობილი წერილი დაიბეჭდა რომელიც თვით რუსთაველს გააწითლებდა. ამას მხოლოდ კულისებში ქირქილი მოჰყვა, წერილის ავტორს კი კრიტიკის ღირსების ხელყოფა, როგორც იტყვიან, ხაპვივით შერჩა. ასეთი პრეცენდენტი აღარ უნდა დავუშვათ. ვიკითხოთ პირდაპირ: ვის ვაქებთ და რისთვის?

## ვასილ კიკნაძე:

1. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, კრიტიკა არ გვაქვსო. ამას ამბობდა მაშინ, როცა თავად იყო კრიტიკული აზროვნების წინამძღოლი, და მერე როგორი წინამძღოლი! ამის შემდეგ ალბათ ძნელია დღევანდელი კრიტიკის მაღალ დონეზე ლაპარაკი, მაგრამ თვით ილიამ ძლიერი იმპულსი მისცა ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკის შემდგომ განვითარებას. ქართულმა კრიტიკამ ზრდის, დავაჟკაცების ხანგრძლივი პროცესი გაიარა. მიღწევებიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ყოველ დროში უკმაყოფილო იყვნენ მისი დონით. კრიტიკის თანამგზავრ ეპითეტად იქცა „კრიტიკა არ გვაქვს", „კრიტიკა ჩამორჩება"... მაგრამ ადრეც და ახლაც ხომ არაერთი ნიჭიერი, ერუდირებული, პროფესიონალი კრიტიკოსი გვყავდა და გვყავს! მათ შეუძლიათ წარმატებით გადაწყვიტონ კრიტიკის ყველაზე რთული ამოცანები. და მაინც ხედავთ, როგორ განუსჯელად არის მიტოვებული ათობით მოთხრობა, ასობით ლექსი, აქტიორული სახე, რეჟისორული ნამუშევარი, პიესა. ის კი არა, პროფესიული კრიტიკა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სპექტაკლების განხილვასაც კი ვერ ასწრებს! უყურადღებოდ არიან რესპუბლიკის სხვა თეატრები. მწერლებს, კინემატოგრაფისტებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს გარკვეული თვალსაზრისით მაინც უკეთესი მდგომარეობა აქვთ, რადგან მათი ნაწარმოებები რჩება და შეიძლება შემდეგაც განიხილონ. თეატრში კი ამისი საშუალება არ არის. სპექტაკლები კვდებიან სულ რაღაც ერთ-ორ წელიწადში. წარმოდგენა მის სიცოცხლე- [illegible] შემოქმედებითი მუშაკები. ასეთი გაშინაურებული ურთიერთობანი ერთობ სპეციფიკურ პირობებში აგდებს კრიტიკოსს, ანელებს მის აქტივობას, ხდება შემწყნარებელი და შემგუებელი. როგორც ჩანს, კრიტიკოსს უჭირს ამაღლდეს ყოველივე ამაზე. მესამეც: ლიტერატურის კრიტიკოსს და საერთოდ „სხვაგვარ რეცენზენტს საქმე ერთ კაცთან აქვს და ამიტომაც ადვილია გაუთამამდეს იმის წყრომასაც, თუ სიმართლე აიძულებს და უწუნოს რამ და გაუძლოს იმის უბედობასაც. სულ სხვა ყოფაშია თეატრის რეცენზენტი. აქ ბევრი კაცია ხელშესახები და სიმართლის სასწორზე ასაწონი". ასე რომ, ილიას თქმით, თეატრალურ კრიტიკოსებს უფრო მძიმე მდგომარეობა გვაქვს. ამ თვალსაზრისით „ვერაფერი ხელობაა თეატრის რეცენზენტობა" — (ილია) და ვინც თავს გაწირავს ამგვარ ხელობისათვის, (გამწირავი კი ერთობ ცოტაა!) მას მეტი ყურადღებაც უნდა! კრიტიკოსი კი მარტოა! ერთ თათბირზე ბ. ყიფიანმა თქვა: კრიტიკოსობას არავინ გავალებთ, რაკი თქვენი სურვილით ირჩევთ, ყველაფერს უნდა გაუძლოთო. ეს მართალია, და რაკი არჩევანზეა საქმე, რატომ უნდა აირჩიოს ის, რაც ათასი უსიამოვნების წყაროა? ისიც ირჩევს სხვა სფეროს. განა ნაკლებად საპატიოა მეცნიერული კვლევა- [illegible] იქმნა. გაკეთებით კი ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და მაინც რა ცოტაა იგი სადღეისო მოთხოვნებთან შედარებით!

3. თანამედროვე ქართული ლიტერატურა და თეატრი მდიდარ მასალას იძლევა კრიტიკისათვის. ბევრი რამ არის მხარდასაჭერი, გადასაფასებელი და გასაკრიტიკებელიც. ერთი სიტყვით, სათქმელი ბევრია.

4. ნაწილობრივ პირველ კითხვაში ვუპასუხეთ. საჭიროა კრიტიკოსთა სტიმულირების ახალი ფორმების ძიება.

რაც შეეხება თეატრს, რედაქციებს უნდა ჰყავდეთ თავიანთი თეატრალური მიმომხილველები (მსგავსად სპორტული თუ სხვა მიმომხილველებისა). უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პრემიერის დღეებშივე პრესაში იყოს სპექტაკლის შეფასება. მას უნდა მოჰყვეს მეორე წერილიც. პროფესიონალიზმი და ოპერატიულობა უნდა დამკვიდრდეს თეატრალურ კრიტიკაში. ამას კი მარტო კრიტიკოსი ვერ გადაწყვეტს, ვერც მარტო რედაქცია. მათ ერთად უნდა მოაგვარონ ეს პრობლემა. უნდა დაწესდეს წლის თუ სეზონის საუკეთესო რეცენზიის პრემიები. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან სრულიად განიდევნოს დილეტანტური რეცენზიები (აქ არ ვგულისხმობ რიგითი მაყურებლის უპრეტენზიო აზრს, მწერალთა შთაბეჭდილებებს). ხშირად გამოიცეს კრიტიკოსთა კრებულები.

## რევაზ მიშველაძე:

1. რაც თავი მახსოვს, ჯერ არცერთი მწერლისთვის არ უკითხავთ, აკმაყოფილებს თუ არა დღევანდელი პროზის ან პოეზიის დონე. „კრიტიკის დონე" რაღატომ გახდა წამდაუწუმ საკითხავი? თუ მართლა გაინტერესებთ: მე არ მაკმაყოფილებს თანამედროვე პოეზიის, პროზის, დრამატურგიის და კრიტიკის დონე. დღევანდელი ცხოვრების დონეც არ მაკმაყოფილებს. უკეთესი მინდა იყოს და იმიტომ.

ერთხელ დავინტერესდი და უნივერსიტეტში მცირე სოციოლოგიური გამოკვლევა ჩავატარე. გაირკვა, რომ კრიტიკულ ლიტერატურას არანაკლები ინტერესით კითხულობენ, ვიდრე მხატვრულს. უფრო მეტიც — ბევრს წაკითხული არ ჰქონდა რამდენიმე მწერლის წყალწყალა მოთხრობა და რომანი, მაგრამ წაეკითხა კრიტიკოსთა ნაზრევი და დაუფარავად წერდა — კრიტიკული სტატია ხშირად უფრო მეტ ესთეტიურ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე თვით ნაწარმოებიო. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ჩვენ მაღალგანვითარებული, ინტელექტუალური, ლიტერატურულ ცხოვრებაში ღრმად გარკვეული კრიტიკოსები გვყავს.

2. ვინა თქვა კრიტიკოსები აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას გაურბიანო? პირიქით, სწორედ ისინი ცხოვრობენ ყველაზე აქტიური ლიტერატურული ცხოვრებით. არაერთი კრიტიკოსი ვიცი მწერლობის რამდენიმე ჟანრში რომ ცდის კალამს და საკმაოდ წარმატებითაც. მათ გვერდით არსებობენ „სუფთა", „აუმღვრეველი" კრიტიკოსებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი იშვიათად აკეთებენ კრიტიკოსის მთავარ საქმეს — კონკრეტულ ნაწარმოებს კი არ განიხილავენ (მისი ღირსება-ნაკლოვანებების გამოწვლილვითი ჩვენებით), არამედ დამრიგებლურ სტატიებს წერენ თანამედროვე კრიტიკის მდგომარეობაზე და ნებით თუ უნებლიედ თვითონვე მხარს უმაგრებენ აზრს ქართული კრიტიკის არასახარბიელო დონის შესახებ.

3. პოეზიის, პროზის და დრამატურგიის დონე კრიტიკული აზროვნების დონეს ვერ განსაზღვრავს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სუსტ მხატვრულ ნაწარმოებზე შეიძლება მაღალი დონის კრიტიკული წერილი დაიწეროს. კრიტიკა მწერლობის ცალკე დარგია. იგი არც მწერლური ქირურგიის ფუნქციას ასრულებს და არც ლიტერატურული მეეზოვისას. კრიტიკოსი თავის ადგილს უძებნის ამა თუ იმ თხზულებას ჩვენი ლიტერატურის თაროზე და თუ ხშირად იგი გაბედულად ვერ ამბობს თავის სათქმელს, ეს იმიტომ, რომ ენერგიულად უშლიან ხელს თითქმის ყველანი, ვისაც, უპირველეს ყოვლისა, ევალება ჯანსაღი კრიტიკისათვის ხელშეწყობა.

ამ ხუთიოდე წლის წინათ ერთი ლექსების წიგნი არ მომეწონა და კრიტიკული წერილი დავწერე. დიდხანს იარა რედაქციის უკანა კარიდან გასულმა ჩემმა სტატიამ ოჯახიდან ოჯახში და ბოლოს, ლექსების ავტორს ტროლეიბუსში რომ დავემგზავრე, ისეთი რამ მითხრა, რომ თვითონვე ვთქვი უარი იმ წერილის დაბეჭდვაზე; თუმცა ღრმადაც ვარ დარწმუნებული, იგი ჩემი უარის გარეშეც არ დაიბეჭდებოდა. რას მერჩიო, — მითხრა — რას გადამეკიდე, ვერ ვეტევით მე და შენ ამ ქვეყანაზეო? შენ არ მოგეწონა ეს ლექსები, სამაგიეროდ, მე ჩემი მკითხველი მყავს, რომელსაც ეს წიგნი სასთუმალთან უდევსო. რატომ აქვავებ ჩემზე მკითხველს, რა გინდა ჩემგანო? შენ გგონია შემიძლია უკეთესად წერა და განზრახ არა ვწეროო? ჯერ არ გამიგონია მეცნიერი შეეჭამოთ, რატომ დაიბადე საშუალო ნიჭის კაცად და რატომ ლომონოსოვი არა ხარო, ვიყო ჩემთვის, რა ხელს გიშლი შენო? თუ მართლა ჩემი დახმარება გინდა, ის წერილი შინ მომიტანე, იქნებ ზოგი რამ ჭკუაში დამიჯდეს და გავასწორო, რაღა რედაქციაში მიარბენინებ და ქვეყნის დასანახავად „ოლოლოს" მეძახიო.

ამ პასუხმა გული კი არ ამიჩუყა, უბრალოდ დავრწმუნდი, რომ იმ პოეტისთვის კრიტიკა ყინულზე დანთებული კოცონი იყო. არა, მეგობრებო, კრიტიკოსი „შემჭმელი და ჩამყლაპავი" ლიტერატურული ურჩხული კი არ არის, იგი თქვენი ძმა და მეგობარია. მას თქვენ ყველანი (ნიჭიერიც და უნიჭოც) ღმერთი, რჯული, ძალიან უყვარხართ. სანამ ამას ღრმად არ შევიგნებთ, კრიტიკას გაუჭირდება თავისი ღვთიური ვალის შესრულება.

4. არავითარი ორგანიზაციული ღონისძიების გატარება არ არის საჭირო საქმის გამოსასწორებლად. უნდა დაევალოს თითოეულ რედაქტორს დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ყოველი აპრობირებული, ჭკუადამჯდარი კრიტიკოსის ნააზრევი. ნუ გამოიგონებს ხელოვნურ თავისმოსაბეზრებელ ბარიერებს, ნუ დაადგება დროის გაყვანის პოლიტიკას.

## ჯანსუღ ღვინჯილია:

1. საუბარი ქართული ლიტერატურული კრიტიკის მტკივნეულ საკითხებზე ხშირად მეორდება. „ლიტერატურული საქართველოს" ანკეტამაც შეიძლება დაბადოს ამგვარი განცდა. მაგრამ ჩვენი ფიქრი მანამ ვერ დაიხსნება ამ საგანს, სანამ არ მიაკვლევს კრიტიკული აზროვნების დამამუხრუჭებელ მიზეზებს და მათი უკუგდების საშუალებებს. ეს მიზეზები თითქოს რამდენჯერმე იქნა დაზუსტებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთობლივი აზრის შემუშავებაა საჭირო.

ლიტერატურული კრიტიკის დონე მწერლობის სხვა ჟანრებისაგან დამოუკიდებლივ არ შეიქმნება. კრიტიკული აზროვნების მაორგანიზებელი ფუნქცია ჯერ მწერლობამ უნდა აღიაროს და გამოამჟღავნოს სურვილი, ჰქონდეს ამ ფუნქციის მტვირთველი კრიტიკა. გაბრაზებული ტონით ალხავსე სიტყვები — „კრიტიკა არ არსებობს" — უფრო პირადული განწყობილების გამომხატველია. როდესაც მწერლობას გაუჩნდება მოთხოვნილება, ლიტერატურულ პროცესს კრიტიკული აზროვნების მაორგანიზებელი ხელი ეტყობოდეს, მაშინ იქნება იგი შინაგანად დიდი სიმაღლეების დასაპყრობად მომწიფებულიც და მომზადებულიც. ე. ი. ეს ჭეშმარიტი ლიტერატურის მოთხოვნილება არ ჩანს ბოლომდე გაცნობიერებული მწერალთა იმ პასუხებში, რასაც ხშირად ვკითხულობთ ანკეტებში. უნებურად მჟღავნდება მწერლობის საერთო დონეც და ტრადიციით დამუხტულთ. რა თქმა უნდა, ეს საერთო დონე არ შეიძლება გვაკმაყოფილებდეს. ლიტერატურის სისხლხორცეულ მოთხოვნილებას საერთო სულისკვეთებით უნდა ვუპასუხოთ. წინსვლას მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ შევიძლებთ. ამ მხრივ სასიამოვნო ტენდენცია ლიტერატურულ კრიტიკასაც ეტყობა და მთელ დანარჩენ მწერლობასაც (თუკი მათ ერთმანეთისაგან პირობითად გავთიშავთ) — ჩვენ ვგრძნობთ, რომ ნამდვილი თვისობრივი ცვლილება უნდა მოხდეს. ყველა ჩვენი ანკეტა ამ გრძნობას პასუხობს. მაგრამ, როგორც დავინახეთ, საჭიროა ეს გრძნობა ლიტერატურის დიდ შინაგან მოთხოვნილებად ჩამოყალიბდეს და შემდეგ ბოლომდე იქნას გაცნობიერებული. მანამ კი ჩვენს ანკეტებს, თითო-ოროლა გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ჟანრების კინკლაობის ელფერი დაჰკრავს.

2. თავის დროზე მეც შევეცადე ამეხსნა ასპარეზიდან კრიტიკოსების წასვლის მიზეზები. ამ კითხვას თავისთავად უკავშირდება პირველი კითხვის ბოლო ნაწილი.

ვფიქრობ, არავის არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ უამრავმა კრიტიკოსმა მიანება თავი ლიტერატურულ პროცესში აქტიურ ჩარევას. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ კრიტიკოსს ლიტერატურული ცხოვრება არ აძლევს საშუალებას, აკეთოს თავისი მთავარი საქმე ე. ი. იყოს ობიექტური, პირუთვნელი, ავტორიტეტული, პირდაპირი, თამამი. კრიტიკოსის ცხოვრების წესი ამ ნიშნებით ღებულობს სრულყოფილ სახეს. ლიტერატურული პრესა კი ჩვენში ხელებშებორკილია და ვერ აძლევს კრიტიკოსს ასპარეზს საიმისოდ, რომ მან მოყვრული პოზიციებიდან იმსჯელოს განურჩევლად ყოველი მწერლის ნაკლზე. მოვეშვათ, ერთი წუთით იმას, რომ პირუთვნელი კრიტიკა მწერლობას ჰაერივით სჭირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პირუთვნელი კრიტიკის წერა კრიტიკოსს სჭირდება უპირველეს ყოვლისა. და როცა ამის საშუალება არა აქვს, როდესაც „გაუკრიტიკებელი მწერლებისაგან" უკუქცეული „დაბალ ლობეს" მივარდება, იგი გრძნობს საკუთარი ფსიქოლოგიის, როგორც კრიტიკოსის ფსიქოლოგიის გადაგვარებას და თავმოყვარეობა უკარნახებს საერთოდ გაჩუმდეს. ჩუმდება კიდეც, მისი მწერლური პოლიტიკა კი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ჟანრებს მიაშურებს.

მაგრამ აქვე ჩნდება მეორე ტენდენციაც: სხვების ბრძოლა ამგვარი კრიტიკოსების თვალში მათდა უნებურად ინათლება მოჩვენებით აქტიურობად და ნაკლებს ვფიქრობთ იმაზე, რომ ჭეშმარიტ ბრძოლასა და მოჩვენებით აქტიურობას შორის არის დიამეტრიული განსხვავება, უნებურად ვცოდავთ ლიტერატურული ფაქტების წინაშე. ჩვენს განწყობილებას თითქოს მყარი საფუძველი აქვს, მართლაც მომრავლდა კრიტიკოსის ტიპი, რომელიც ლიტერატურული კრიტიკის ყველა არსებითი მოთხოვნის გვერდის ავლით „იღვწის" და „აქტიურობს" კრიტიკაში და უნდა ეს ამგვარი შრომა კრიტიკის მოწინავე პოზიციაზე დგომად ჩაუთვალონ. ეს გრძნობაც გასაგები უნდა იყოს, კრიტიკოსს არ ეთმობა თავისი პოზიცია, და მიუხედავად უამრავი ნაკლისა, სურს ჭეშმარიტ აქტიურობად ჩაუთვალონ გარჯა და ფუსფუსი.

ჭეშმარიტ ბრძოლასა და მოჩვენებით აქტიურობას შორის კი ზღვარი უნდა გავავლოთ.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ღრმად არ გვქონდეს გააზრებული, როგორ სჭირდება ჩვენს დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებას ორგანიზებული კრიტიკული აზროვნება. სწორედ დღევანდელს! ორგანიზებული, მაქსიმალურად მოწესრიგებული ლიტერატურული ცხოვრება არასდროს არ ყოფილა ზედმეტი, მაგრამ ჩვენი დროის მოთხოვნები უაღრესად კატეგორიულია. იგი გულისხმობს კულტურულ ურთიერთობათა არნახულად დაძაბულ რიტმს, რისი წყალობითაც მძიმე გამოცდა ელის ყოველ ეროვნულ მწერლობას. ქართული მწერლობის უმდიდრესი ტრადიციები, თავისთავადობა და თვისებანი ამ ურთიერთობის გარემოცვაში სწორი ორიენტაციის განსაზღვრას საჭიროებს. ეს კი შესაძლებელი შეიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურული ცხოვრების მაქსიმალურ მოწესრიგებას ესოდენ ნანატრი და სასურველი შინაარსის კრიტიკული აზროვნება იტვირთავს.

ჩვენში კი ხშირად შეიმჩნევა ცდა სწორედ ეს საპატიო, დიდი მისია ჩამოაშორონ კრიტიკას და მისი დანიშნულება დაავიწროონ. ამის საბაბს ნაწილობრივ კრიტიკოსებიც ვიძლევით, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. თანამედროვე ქართული კრიტიკის მონაპოვარში იმდენი ძვირფასი ტენდენცია იღებს დასაბამს, იმდენი შესაძლებლობებია თავჩენილი, რომ დამოკიდებულება მაქსიმალურად უნდა შეიცვალოს.

სინამდვილეში, ლამის არის იქამდე მივედით, რომ კრიტიკის, როგორც ჟანრის, საჭიროებაზე ვთქვით უარი, რა დასამალია და ფსიქოლოგიური ბარიერიც შევქმენით. კრიტიკოსის დუმილი და პასიურობა უფრო სასურველად მივიჩნიეთ, ვიდრე კრიტიკოსის თავაუღებელი შრომა ლიტერატურულ პროცესზე დაკვირვების მიზნით.

ქართულ კრიტიკულ აზროვნებას კი განუსაზღვრელად დიდი მისია აკისრია. მან კრიტიკის ყველა ფორმა უნდა აამოქმედოს, შეფასებას ითხოვს ყოველი წიგნი, ყოველი ჟურნალი, ყოველი მწერლის შემოქმედება, ყოველი წლის ლიტერატურული პროდუქცია. გასაანალიზებელია ახალი ტენდენციები, მიმართულებანი, სტილის, მხატვრული ენის პრობლემები, შესასწავლია ქართული მხატვრული სიტყვის მაგისტრალური გზა ჩვენს დროში, მისი მიმართება მსოფლიოს კულტურასთან... და ამ უზარმაზარი მისიის აღსრულების გზაზე კამათის, პაექრობის ფორმა და შინაარსია დასახვეწი, საამისოდ კოლოსალური ენერგიის გაღება იქნება საჭირო. თუ ამ კუთხით არ შევხედავთ კრიტიკული აზროვნების ფუნქციას, მაშინ მიუღწეველი დარჩება მიზანი, ხოლო ქართული მწერლობის გზა ერთ უსახო სტიქიურ მდინარებას დაემსგავსება.

და როგორადაც არ უნდა გაგვიცრუოს იმედი წარსულის გამოცდილებასა და დღევანდელ სურათზე დაკვირვებამ, მაინც უნდა ვიწამოთ კრიტიკულ აზროვნებაში სრული გარდატეხის აუცილებლობაც და შესაძლებლობაც. და უმოქმედობიდან დიდ შრომას დავუბრუნდეთ, რადგან სახვალიოდ ამ საქმის გადადება არ ეგების, დღეს და სწორედ დღეს უნდა შეიქმნას ის კრიტიკა, რაც ქართულ მწერლობას სჭირდება.

3. და ის ჭეშმარიტი ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, — მიუხედავად იმისა, რას გვკარნახობს გამოცდილება, რას გვკარნახობს „სიბრძნე". უნდა გაგრძელდეს ლიტერატურისათვის. დღევანდელი ქართული პოეზია და პროზა (ნაწილობრივ დრამატურგიაც) ერთის მხრივ, იძლევა „ღრმა ლიტერატურული აზროვნების" საშუალებას და მეორე მხრივ, სწორედ პოეზია და პროზა საჭიროებს ამ „ღრმა ლიტერატურულ აზროვნებას" მისივე განვითარებისათვის, კრიტიკის განვითარებისათვის, საერთოდ ქართული მწერლობის განვითარებისათვის. პრობლემები, საკითხები, ტენდენციები, რითაც ასე მდიდარია ქართული პოეზია და პროზა, რითაც მდიდრდება თანდათან ქართული დრამატურგია, ხანგრძლივ, გამოწვლილვით მსჯელობას ითხოვს, რათა ქართული კრიტიკის და მწერლობის წინაშე ახალი სიმაღლეები გაიხსნას და იმ სიმაღლეებისაკენ მიმავალი გზა განათდეს.

4. უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული პრესა უნდა დავიცვათ ავტორთა ავადმყოფური დამოკიდებულებისაგან. უპირველეს ყოვლისა ლიტერატურულ პრესას უნდა ჰქონდეს საშუალება თავისუფლად, რიდისა და თუ გნებავთ შიშის გარეშე ბეჭდოს მოყვრული პოზიციებიდან დაწერილი სტატიები. და აქვე უნდა ითქვას ალბათ, რომ ლიტერატურულ პრესას არ უნდა ჰქონდეს უფლება განმაქიქებელი წერილების დასტამბვისა, ჩასაფრებული კრიტიკოსების ვნებათა გამოხმაურებისა. ვფიქრობთ დადგა დრო, ამ საკითხზე სერიოზულად ვიმსჯელოთ.

კრიტიკოსების მხრივ ფარხმალის დაყრას მე ვერ გავამართლებ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბოლომდე მაქვს განცდილი და გააზრებული, რატომ გვიხდება ჩვენ გაჩუმება. ჭეშმარიტი, სასურველი ლიტერატურული კრიტიკის დონის მისაღწევად ბრძოლა ალბათ უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ამ დონეს არ მივაღწევთ, სანამ საჭირო ამინდს არ შევქმნით. ამას თვითონ ქართული მწერლობის ინტერესები გვიკარნახებს. დღეს კრიტიკული აზროვნების მაორგანიზებელი ფუნქციის გარეშე ჭეშმარიტ ლიტერატურაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა

# ფიქრი შოთა ნიშნიანიძის ლექსებზე

ლარისი კალანდაძე

მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა ერთ-ერთი რუსი პოეტის სენტენცია თუ აფორისტული ფრაზა: ყოველი პროგრესი რეაქციულია, თუკი ირღვევა ადამიანი. თვით უაღრესი ნაღვლიანი თუ სევდიანი პოეზიაც კი, ვფიქრობ, ადამიანს არ არღვევს, არამედ როგორღაც მაინც ამთლიანებს, სულიერად აუხვევს. ვინც სილამაზეს, მით უმეტეს, პოეტურ სილამაზეს ქმნის, ასე თუ ისე თვითონაც ლამაზდება და მდიდრდება გრძნობებით — შემოქმედების წუთებში მაინც. პოეზიას, როგორც ზღაპრულ ჯადოსნურ თვალს-პატიოსანს, უსასრულოდ მრავალი წახნაგი აქვს. შეიძლება ითქვას, რამდენიც ჭეშმარიტი პოეტია, იმდენი განუმეორებელი ნიშანი არსებობს პოეზიისა.

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედება უხვ მასალას (უკეთ ვთქვათ, საბაბს) იძლევა პოეზიის ზოგიერთი არსებითი თვისებების გამოსავლენად. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს შემოქმედის წარმოსახვათა მოჭარბებული, მეტად თავისებური მეტაფორულობა და ასევე მოჭარბებული სენტენციურ-აფორისტული ნაკვთიანობა. ეს თვისებები წარმტაცია და ფიქრთა აღმძვრელიც. შეზიარებით პოეტს თავანკარა განცდებით დანაღმული წუთების მოხმობაში, ვენდობით მის ნაცადობას: „ჩვენში ისეთი ადგილი ვიცი, [illegible]

[illegible] ადამიანს შეიძლება ესა თუ ის საგანი თუ არსება არ მოსწონს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს საგანი თუ არსება მშვენიერი იქნება იმდენად, რამდენადაც სრულქმნილი იქნება თავის რაობაში. მხატვრული შემოქმედება ელტვის თავის საგნის სრულქმნას. ჰო, საიდან სადამდეა გაუხუნარია მტკიცება სრულქმნილი „სიტყვისა გულისა გასაგმირისა“.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ძლიერია ზნეობრივი ნაკადი. მე ეს მისი შემოქმედების ღონიერ მაჯისცემად მიმაჩნია. არა მგონია, სწორი იყოს ისეთი დიდი შემოქმედი და მოაზროვნე, როგორიცაა თომას მანი, როცა ამბობს: „...ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ არა მორალური, არამედ ესთეტიკური საწყისი ძევს მხატვრის ბუნების საფუძველში, რომ მისი მთავარი შემოქმედებითი იმპულსი — ეს არის მისწრაფება თამაშისაკენ და არა სიკეთისაკენ. და თუ თვით თავისი გულუბრყვილობის გამო იგი ბედავს ითამაშოს მორალის პრობლემებითა და ანტინომიებით, მაშინ ეს თამაში ატარებს მხოლოდ სიტყვიერ-ლოგიკურ ხასიათს“.

ვფიქრობ, აქ თამაში, თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით და ერთობ პირობითადაც რომ იყოს ნახმარი, მაინც ზუსტი არ არის, რადგან ერთი მოვლენისა თუ საგნის არსის განსაზღვრა მეორე მოვლენისა თუ საგნის არსთან მსგავსებით ყოვლად შეუძლებელია. ყოველი მოვლენა თუ საგანი ყოველთვის თვითარსია, მიუხედავად სხვებთან ახლო მსგავსებისა. ხელოვნება, ძალიანაც რომ ჰგავდეს თამაშს, თამაშად მაინც არ შეიძლება განისაზღვროს... ლტოლვა სიკეთისაკენ არ შეიძლება არ ენათესავებოდეს მშვენიერებისა თუ სილამაზის ძიებას, მაგრამ ერთი მაინც არ შეიძლება გაიგივდეს მეორესთან. ზნეობრივი საწყისი მხოლოდ სისხლხორცეული დანათესავების შემთხვევაში შეიძლება შეერწყას ესთეტიკურ საწყისს, მაგრამ ამ ორი საწყისის გაიგივება მაინც არც შეიძლება, არც მოხდება.

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედება, გარდა სხვა ღირსებებისა, ესთეტიკურისა და ზნეობრივის, მშვენიერებისა და სიკეთის შეწყვილება-შენაკადების მეტად საგულისხმო მცდელობაა. ეს მცდელობა ერთი მომეტებული ხასიათის თვისებაა პოეტისა. თავისი მორალურ-ზნეობრივი მოტივებითა და სენტენციებით პოეტი უმეტეს შემთხვევაში სულიერ კმაყოფილებასაც და ესთეტიკურ სიხარულსაც გვანიჭებს. არა მარტო კეთილისმყოფლობის მისწრაფებით, არამედ გრძნობის სრულქმნილობითაც გვხიბლავს პოეტის ცნობილი აღსარება: „მფარველად მყავდა სული ძლიერი, სინდისი იყო ჩემი მრჩეველი. ყოველთვის ვთვლიდი თავს ბედნიერად, რადგან ვიყავი შეუმჩნეველი. ზოგს ცხოვრებაში არ გაუმართლდა, მე მათ გულგრილად გვერდს ვერ ავუვლი. მათთან ყოველთვის უხერხულად ვარ, თითქოს მე მქონდეს დანაშაული“.

მივყვებით პოეტის სიწრფელეს და ამ სიწრფელეში არ შეიძლება არ იყოს მომხიბვლელი სილამაზეც.

არ შეიძლება პოეზიის წყაროსთვალს არ ენაკადებოდეს უხინჯო კაცთმოყვარეობის შეგნებაც. კაცთმოყვარეობა, ისევე როგორც სათნოება, მხოლოდ სრულყოფი- [illegible] ფელე სამდუღრავისა. მაგრამ სანამ პოეტის დიდი აღსარების გადმოცემას დავიწყებდე, მსურს კვლავ თომას მანის საგულისხმო მოსაზრებას მოვუხმო: „არასდროს არ დავიწყებ იმ მხატვრის გმობას, ვინც იტყოდა, რომ ქვეყნიერების გამოსწორება ზნეობრივი თვალსაზრისით მისი და მის მაგვართა საქმე არ არის, რომ მხატვარი ქვეყნიერების „გამოსწორებას“ ეწევა არა მორალის გაკვეთილების მეშვეობით, არამედ სრულიად სხვანაირად — მით, რომ სიტყვასა, სახესა და აზრში ამკვიდრებს თავის სიცოცხლეს (ცხოვრებას), ხოლო მისი მეშვეობით სიცოცხლესაც საერთოდ, იაზრებს სიცოცხლეს, აძლევს მას ფორმას და ეხმარება სულს, ესე იგი იმას, რასაც გოეთემ უწოდა „სიცოცხლის სიცოცხლე“, მისწვდეს მოვლენათა არსს. არასდროს არ შევეწინააღმდეგებოდი მას, თუ იგი დაბეჯითებით დაიჩემებდა, რომ მხოლოდ განცხოველმყოფელობა, ყოველივე აზრით, და არა სხვა რამ, არის ხელოვნების ამოცანა“.

რაღაც შესაძლო საჭოჭმანოს გვერდით აქ უეჭველად არის ჭეშმარიტების ცინცხალი მარცვალი: განცხოველმყოფელობა უეჭველად არის მხატვრული წარმოსახვათა ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი თვისება. პოეზიას ამ განცხოველმყოფელობის მრავალთმრავალი და სხვადასხვაგვარი განშტოება აქვს: სევდაც, ღიმილიც, წუხილიც, ირონიაც, სიხარულიც და სხვა მრავალი ასეთი ნიშანთვისება. არა მარტო სიხარულსა და მშვენიერების გრძნობას, არამედ გულისტკივილსა და სევდას თუ გადასცემთ სხვას, პოეზიას არ გაემიჯნებით. ეჭვი არ არის, ძლიერ შემოქმედს ძალუძს დაგვატკბოს, გაგვახაროს ნაღვლიანობით, გულისტკივილით, მწარე ფიქრით, მწვავე საყვედურით კაცთა მიმართ. ზნეობრივი ხეიბრობის მწვავე გმობაც ხომ სასიამოვნო განცდას გვაზიარებს.

უეჭველად არის დაკავშირებული გარკვეულ ესთეტიკურ განცდასა და სიამოვნებასთან პოეტის ერთგვარი შეშფოთებაც, წუხილიც და საყვედურიც დროის მიმართ: „სად გაქრა უთლის რწმენა და შიში, რატომ მოიშთო და გატიალდა? რამ უნდა მშურდეს მე, დღეის პირმშოს, ძველთა წარმართთა თუ ქრისტიანთა?“.

თითქოს სადღაც ბნელი ნაპრალის პირას ვიდგეთ და ჩაშავებულ სიღრმეს ჩავცქეროდეთ. სულში იძვრის უცნაური შიშის ზმანება: „სხვა შიში ათრთოლებს ადამის მოდგმას, ახლანდელ დროში ვინც დაიბადა. სჯობია ისევ ღვთის შიში მქონდეს, ვიდრე უღმერთო ადამიანთა“.

გვახარებს გმობა უკეთურობისა. ეს ტკივილიანი სიხარულია, მაგრამ ამ მხრივ დიდი ზნეობრივი განწმენდის ილუზიას არ შეიძლება მივეცეთ. მხოლოდ სიწრფელე განცდისა გვხიბლავს.

არ შეიძლება არ გვახარებდეს სიტყვის ღრმა და გრძნობიერი მოქნევა, მით უმეტეს, როცა იგი ხალხის დიდი სულიერი გამოცდილების წიაღიდან ამოდის. კარგია, როცა პოეტის სიტყვა შენს ფიქრებსა და განცდებს აზვირთებს, ათამაშებს. გინდა ყური მიუგდო პოეტის გულისძგერას.

„სიზმრადა მაქვს ნახული განძი საქართველოსი — ღვთისმშობელი ხახულის, ყინწვისის ანგელოსი... ჰოი, რა მაცდურია, ზღვაო, შენი სახე, ჩემი დიოსკურია კარგად შემინახე. მაგრამ განა გავთავდით, განა წახდა ყისმათი, — საქართველო სადამდის? მარად, უკუნისამდის!“

კარგად, აზრიანად და გრძნობიერად არის გადასხვაფერებული და „გათამაშებული“ ცნობილი „შვილო ზურაბ, სადამდი?!“ შორიშორ გატყორცნილი შუქნარი თავისკენ ეძახის გულსა და ფიქრებს. პოეტური აღმაფრენის მწყობრში დგება ცდა სიკეთისა და მშვენიერების, სულიერი სიფაქიზისა და სილამაზის შერწყმისა. უტყუარ შემოქმედს როგორღაც ვაჟკაცობაც, თავგამეტებაც შეჰფერის. ვინ იცის, სად, როგორ და რამდენნაირად გაცხადდება შემოქმედებაში ეს ნირი, ეს გზნება...

შოთა ნიშნიანიძეს იზიდავს და იტაცებს ძალოვანი, კუნთოვანი, ზვიადი, ჭავარიანი ფორმები. თითქოს ასეთ ფორმებში ეძიებს და პოულობს იგი სასიცოცხლო ენერგიის ძალუმ დაგროვებას. სასიცოცხლო ძალების მოჭარბებას შეხარის იგი თავის ცნობილ ლექსში — „ხევსური“. ეს ლექსი კარგად გვიმჟღავნებს პოეტის ესთეტიკური მიდრეკილების ერთ-ერთ საგულისხმო ნაკადს. ლექსის ბევრ სხვა მსუყე, ხორცოვან ნაკვთებს შორის შეიძლება გავიხსენოთ ხვატში მობუქნავე დათვი, მთვრალი ხევსურნი, მათ შორის ერთი საოცრად ახმახიც. „გზაზე კი სურათი კაცს ღიმილს მოგვრიდა: ერთ ახმახს იაბო დაუფრთხა ბოგირთან, რაც ვნახე, როგორ ვთქვა, ან როგორ გიამბოთ, — გოლიათს ლაჯებში მოეხრჩო იაბო. ჩამოხტა დევკაცი და ცხენი მშიშარა ვეება იღლიის ქვეშ ამოიჩარა“.

პოეტის ამავე ხასიათის ესთეტიკური მიდრეკილების სფეროს მიეკუთვნება ჭედმაგარი, რქანაყარი ხარის ხატებით გატაცებაც...

პოეტი ეძებს დიდ სიხარულს, ისეთ სიხარულს, ყველას რომ ეყოს... შესაძლოა, მას სახელმძღვანელოდაც კი ჰქონდეს აზრი-შეგონება: როცა ხარობ, გაიხსენე, რომ ქვეყნად ბევრი, ბევრი ვინმე იტანჯება...

ფიქრი ქვეყნიერების სიღრმეებში შეღწევას ლამობს. იქნებ ამიტომ დუმილიც უნდა ითარგმნოს.

დუმილის თარგმნა? საგულისხმო პოეტური ფიქრია თუ სურვილი!

განა ზოგჯერ არ მოგწყურებიათ აგემეტყველებინათ დადუმებული, დამუნჯებული დრო ან სივრცე, წაგეკითხათ ჩრდილის სიჩუმე, ამოგეცნოთ საგანთა, ნივთთა, მთათა და ბართა უსასრულო დუმილის დაფარული აზრი? ამ სურვილში არაფერია მისტიკური. ეს მოფიქრალ-მოაზროვნე და გრძნობიერი ადამიანის არცთუ ისე უცნაური სულიერი რეფლექსია.

პოეტს აღაფრთოვანებს ის, რომ მგზნებარე მკვლევარი — „ნათელმხილველი, ჯადოსანი, ბრძენი და ბავშვი“ ჩვენი დროის ენაზე თარგმნის შორეული წარსულის დრამატულ ხეულებში ჩაბუდებულ საუკუნოებრივ დუმილს.

იქნებ პოეტური მეტაფორებისა და ლირიკულ აღსარებათა მიახლოებითი თარგმნაც შეიძლება ჩვეულებრივ პროზაულ ენაზე. ყოველ შემთხვევაში, მე ვცდილობ ლირიკული მონოლოგების სტრიქონებს შორის ამოვიკითხო პოეტის ფიქრი ჩემი სიტყვებით:

„დიდებულია უსასრულო დუმილიდან გამოსვლა. ვადიდებ ამ ქვეყნად მოსვლას! ხელს შევაშველებ, მაგრამ მხარს ვერ ავუბამ იმას, ვინც თავისი გაჩენის დღეს წყევლის. არ შემიძლია მადლიერი არ ვიყო გაჩენით, თვალის ახელით, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ შენ გაგიცანი, გასაოცარო არსებავ — ადამიანო, გავიგე შენი სიკეთე, შენი სიავე, შენი ბობოქარი სული და ვნებები; არ შემიძლია მადლიერი არ ვიყო ჩემი გაჩენის დღის, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ შენ გიხილე, ჩემო მწარეკბილო სამშობლოვ, გავხედე შენს წარსულს, შევისისხლხორცე შენი აწმყო, შევხარი შენს მომავალს, ვოცნებობ შენს უკვდავებაზე; ერთი სუსტი ყვავილიც რომ დავრგო და ვახარო შენს სამშვენად, ჩემს სიცოცხლეს უკვე დიდი აზრიც და დიდი გამართლებაც აქვს“.

პოეტი ლამობს ყველას სამყოფი სიხარულის მიკვლევას. მის წიგნში ჟღერს საგულისხმო სადიდებელი გაჩენის დღისა. უდიდეს სიკეთეს, ულრმეს აზრს პოულობს პოეტი გაჩენაში, ქვეყნად მოსვლაში: „სულჩადგმული ვარ ახალ სიცოცხლით“, „მე ნატეხი ვარ მარადისობის“, „ვარ მონაწილე სამყაროს შექმნის“. სიბრძნის, სიკეთის და მშვენიერების შეზავებად ესახება სიცოცხლე შემოქმედს. ზოგჯერ ფიქრიც კი გაგიელვებთ: პოეტი შეფარვით ხომ არ ეკამათება ქართული კლასიკური პოეზიის უბადლო გოლიათს, ვინც თავის ლექსში „იას უთხარით ტურფასა“ — თქვა: „შენ თუ გგონია სიცოცხლე სამოთხის კარი ღიაო, ნუ მოხვალ, მიწას ეთარე, მოსვლაში არა ყრიაო“.

მაგრამ არა, მხოლოდ სოფლის, სამყაროს, ქვეყნიერების მოძრაობის სხვადასხვა წუთის, სხვადასხვა მონაკვეთის პოეტური უკუფენა უპირისპირდება აქ ერთიმეორეს და არა პოეტი პოეტ-გოლიათს. აბა, ვაჟასთან კამათისათვის ვით გაკადნიერდებოდა ის, ვინც თავის მასწავლებელს მოკრძალებით მიმართავს: „კეთილო კაცო, დამნაშავე ხარ — რად მომიწონე ლექსი პირველი? რად შემაჩვიე ვაჟა-ფშაველას, როგორც ქარიშხალს სუსტი ფრინველი“.

თუ ვაჟას მშვენიერ ამონამღერში არეკლილია წუთი სოფლის უკუღმა ტრიალისა, წუთი მშვენიერების წვალებისა, აქ ჟამთასვლის სულ სხვა გადასახედზე შემდგარი პოეტი სულ სხვანაირი სულიერი ავსების წუთებს იჭერს.

არის, რასაკვირველია, განწყობილებისა და წარმოსახვის შეხვედრის წერტილები, თუ ვაჟა ნაიალაღარ ხარს ამსგავსებდა თავის არსებას და მუდამ ბუბუნებდა, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო, მის კვალზე მავალი ახლანდელი პოეტი ნატრულობს: „ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჯანი და მადა ხარისა, სიტყვა — ხარივით გამწევი, მამულის გასახარისად. ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი, ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი“. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოეტმა შესძლო ნანატრის თავისებურად აღსრულება.

ყოველივე ზემოთქმული წლების მანძილზე შოთა ნიშნიანიძის ლექსების კითხვისას ნაფიქრია. ზოგი რამ კიდევ უნდა მეთქვა პოეტის ძარღვიან ლექსებზე. გულახდილად უნდა ვთქვა: ვაპირებდი გაკვრით მეთქვა პოეტის უხვსიტყვიანობაზედაც. ამასობაში პოეტის ბევრი ახალი შესანიშნავი პოეტური ქმნილება მიიღო მკითხველმა... დიდად გახმაურდა ცნობილი პუბლიცისტურ-პოლიტიკური ლექსი, რომელშიაც კომუნისტის მაღალ ღირსებებზეა ნათქვამი შთამბეჭდავი სიტყვა.

ახლახან მკითხველმა მიიღო მისი ლექსების დიდი ერთტომეული, რომელიც ერთგვარად აჯამებს პოეტის მთელ შემოქმედებას.

პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის მფლობელი, ფართოდ და შორს გახმაურებული შემოქმედი, სამართლიანად და დამსახურებულად არის შემდგარი საკმაოდ მაღალ კვარცხლბეკზე.

მაგრამ ეჭვი არ არის, იგი კვლავ რჩება თავისი ადრინდელი მოკრძალებულობის ერთგული.

# შეხვედრა პოეტთან

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნა პოეტ-აკადემიკოსის, სოციალისტური შრომის გმირის ირაკლი აბაშიძის დაბადების 70 წლისთავის საიუბილეო დღეები.

ახლახან პოეტს თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს თანამშრომლებმა, ვეტერანმა პენსიონერებმა.

ირაკლი აბაშიძისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ქ. გარდაფხაძემ. პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსმა, მწერალმა ე. უბილავამ.

იუბილარ პოეტს მიესალმნენ: სამამულო ომისა და საბჭოთა არმიის ვეტერანი, რესპუბლიკის საექიმო-შრომითი საექსპერტო სპეციალიზებული კომისიის თავმჯდომარე გ. ხომერიკი, უსინათლოთა საზოგადოების თავმჯდომარე დ. მაღრაძე, სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილეები კ. გოგლიძე და გ. გოშაძე, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების თავმჯდომარე ი. გეტაშვილი, სამინისტროს პენსიებისა და დახმარებების სამმართველოს უფროსის მოადგილე, პარტბიუროს მდივანი ი. ღლონტი, მინისტრის თანაშემწე ე. აბაზაძე, თბილისის 89-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ე. დვალი. მაღელვებელი იყო კაპიტან ბუხაიძის ქალიშვილის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დარეჯან ბუხაიძის გამოსვლა.

ირ. აბაშიძის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ტ. საყვარელიძემ, თ. ხაინდრავამ, გ. ხურცილავამ, მ. გორგილაძემ, მ. ტატიშვილმა.

პოეტმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და ილაპარაკა უახლოეს შემოქმედებითს გეგმებზე.

კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები ხ. მდივანი, ა. ხომერიკი, კონცერტმეისტერი ლ. შაბანოვი, საქართველოს ცეკავის დამსახურებული ანსამბლი სსრკ სახალხო არტისტების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, ვოკალური ანსამბლი „თაზისი“, სოლისტები ტ. მაღრაძე, ნ. გაბუნია.

საღამო მიჰყავდა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტელეკომენტატორს, მსახიობ ჯ. ვაშაყმაძეს.

## ჩვენი მილოცვა

# აკაკი გაწერელია 70



●

ადამიანს, კერძოდ, მწერალს, გულწრფელი სიყვარული უნდა ჰქონდეს თავისი ქვეყნისა და ხალხისა, რომ ათეული წლების მანძილზე მოუღლელად ემსახურებოდეს მშობლიურ ხალხს, მშობლიურ ქვეყანას. აკაკი გაწერელიას მოღვაწეობა მაგალითია თავდაუზოგავი შრომისა და მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარულისა. ეს სიყვარული კიდევ უფრო მაღლდება, როცა იგი თავის შემოქმედებაში ჭეშმარიტ ტალანტს ამჟღავნებს, როცა თავისი ნაწერებით უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს მშობლიური ლიტერატურა და მხატვრული აზროვნება. ამ მხრივ არა ერთი და ორი წერილის, ნარკვევის, მხატვრული ნაწარმოების გახსენება შეიძლება აკაკი გაწერელიას შემოქმედებიდან.

აკაკი გაწერელიას ლიტერატურული ესეები და საერთოდ ყველა მისი ნაწარმოები დიდ ყურადღებას იპყრობს მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველში.

მან მრავალი ტომი მიუძღვნა ქართული მწერლობის საკითხებს — როგორც წარსული, ისე თანამედროვე მწერლობისა და მხატვრული აზროვნების საკითხებს.

მისი დიდი სიყვარული ქართული მწერლობისადმი, მისი ახალგაზრდული ენერგია, იმედს გვაძლევს, რომ აკაკი გაწერელიას მომავალი წიგნები კვლავ ბევრ ახალ სიტყვას იტყვიან და მრავალჯერ გაახარებენ ქართველ მკითხველს.

ვუსურვებ ჩვენს კეთილ მეგობარს ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს და მისთვის ჩვეული ახალგაზრდული ენერგიით მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერ შრომას.

სერგო კლდიაშვილი

●

აკაკი გაწერელიას 70 წელი შეუსრულდა, მაგრამ ასაკი მას როგორღაც არ ეტყობა. იგი მსუბუქად მოძრაობს, სწრაფი მიხრა-მოხრა და დაუზარებელი რეაქციები აქვს. თუმცა ეს არ არის მთავარი. აკაკი გაწერელიასათვის ახლაც ორგანულია შემეცნებითი ინტერესების ისეთი დიაპაზონი და გონებრივი ცნობისწადილის ისეთი ენერგია, რაც თითქოს მოულოდნელი უნდა ყოფილიყო სხვა შემთხვევაში.

სიჭაბუკეში მაქვს წაკითხული აკაკი გაწერელიას ბრწყინვალე მოთხრობა „ბარათაშვილის სიკვდილი“ და მისი წერილები — „ენა და სტილი“ და „პოეტური თარგმანის საკითხები“. ჩემთვის ეს იყო გეზის მომცემი წერილები და მე დღემდე ვიზიარებ (და შეძლებისდაგვარად, ვახორციელებ) მათში დადგენილ თვალსაზრისებს. ამ წერილებს იმიტომაც ვიხსენებ, რომ რატომღაც დღემდე ფუჭად კამათობენ იმ საკითხების გამო, რომლებიც დიდიხნის წინათ არის სრული უეჭველობით ნათელყოფილი...

ბატონ აკაკის დიდი ხანია, რაც ვიცნობ. თავის უმცროს მეგობრებთან ურთიერთობაში იგი მხოლოდ კეთილმოსურნეობასა და გულწრფელობას ამჟღავნებს. უყვარს მათთან საუბარი და სერობაც, — და ამაშიც ჩანს მისი შინაგანი ბუნების უბრალობა. იგი არასოდეს არ გთრგუნავს თავისი უჩვეულო და მრავალმხრივი ცოდნით. პირიქით, გაოგნებას რა შეგატყობს (შეუძლებელია, ზოგჯერ გაოგნებული არ დარჩე და გულახდილად არ აღიარო ეს!), რაღაცნაირი თვითმიტევებით იტყვის — ნამეტანი ცნობისმოყვარე ყმაწვილი ვიყავიო, — ჩემს თავზე გადახდენილს გიყვებით. აქვე უნდა ითქვას: მან გულისხმიერი დახმარება იცის. დაუზარებლად მოგცემს რჩევას, მიგითითებს, გაგიზიარებს თავის შეხედულებას. მეტიც, შთაგაგონებს და ხელს შეგიწყობს ამ შთაგონების განხორციელებაში. ამ დროს იგი ჰგავს ხელგაშლილ მეგანძურს, რომელსაც არ ენანება თავაუღებელი შრომით მოპოვებულის უშურველად გაცემა. მას არ ეძნელება მადლობის თქმა, არ ეზარება კარგი სიტყვის გამეტება, ახალგაზრდა კაცის დამსახურების აღნიშვნა. და ესეც ადასტურებს მისი შინაგანი ბუნების უშურველობასა და უბერებლობას.

შეუნაცვლებელი და განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულებისაა აკაკი გაწერელიას ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული კლასიკური ლექსი“ და „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“, აგრეთვე მისი ნაშრომები არეოპაგიტიკასა და რუსთველოლოგიის დარგში. ყველა ამ ნაშრომში დაუცხრომლად ჩქეფს სისხლსავსე ანალიტიკური აზრი, რომელიც კოლოსალურ ერუდიციაზეა დაფუძნებული. პირადად მე უჩვეულო ესთეტიკურ და ინტელექტუალურ სიამოვნებას მანიჭებს ამ ნაშრომების კითხვა (მარტო წიგნის ბოლოში დართული შენიშვნები რადა ღირს!), რომლებშიც ვერ შეხვდებით ვერცერთ ანემიურ სტრიქონსა და აზრს. ასეთსავე განცდას აღძრავს ქართული კულტურით დაინტერესებულ ყველა მკითხველში მისი ბრწყინვალე წერილები „დანტე და პრეისტორიული საქართველო“, „ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან“, „ათენაიდა — ევდოკია“, „პეტრე იბერის ბიოგრაფიის საკითხები“...

ამ წერილებში ერთმანეთს ეჭიდება სწავლულის ანალიტიკური ჭკუა და ხელოვანის დახვეწილი სტილი. მისი ყოველი ნაშრომი ინტელექტუალური სიხარულის მომგვრელია და სხვა მკითხველებთან ერთად, მე ახლაც მღელვარებით ველოდები მის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მონოგრაფიებს ავგუსტინესა და პეტრე იბერზე...

აკაკი გაწერელია მკაცრია იქ, სადაც უმეცრული არგუმენტებით ცდილობენ დააბნელონ ქართული კულტურის კარდინალური საკითხები, მაგრამ მანვე იცის უნებლიე ან თუნდაც უმნიშვნელო შეცდომის აღიარება („შეცდომა ვის არ მოსვლია!“ — მისივე სიტყვაა), — ერთხელ ჩემი და სხვათა თანდასწრებითაც უთქვამს: საჯაროდ განვაცხადეო!.. არც არის გასაკვირი, — ჭეშმარიტების ყველა უანგარო მაძიებელს ბუნებრივად ახასიათებს ულმობელი თვითკონტროლით აღბეჭდილი თავმოდრეკილობა...

სტუდენტობის წლებში მწერალთა სასახლის ბაღში, ვერესა და სოლოლაკის ქუჩებში არაერთხელ მინახავს ჩემთვის სათაყვანებელ კონსტანტინე გამსახურდიასთან, გერონტი ქიქოძესთან ან პავლე ინგოროყვასთან ხელკავით მოსეირნე აკაკი გაწერელია. არაჩვეულებრივი სურვილი მქონდა გამეგო რაზე საუბრობდნენ ისინი — ქართულ მწერლობის ეს ნათლითმოსილი თავკაცები. ბედნიერად ვრაცხდი მათთან გულითადი სიახლოვითა და მიზნის ერთობით დაკავშირებულ აკაკი გაწერელიას...

დღეს თავად ბატონი აკაკია ერთ-ერთი თავკაცი ქართული მწერლობისა, ნახევარსაუკუნოვანი ლიტერატურული და მეცნიერული შრომით ხელდამშვენებული მწერალი, მოქალაქე, ძალმოსილი შემოქმედი. და მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ შემიძლია მოკრძალებული სიყვარული და ღრმა პატივისცემა დავუდასტურო მას, როგორც უმცროსმა მეგობარმა.

თამაზ ჩხენკელი

●

იმ უმკაცრეს მოთხოვნათა შორის, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციამ შემოქმედს, მკვლევარს თუ წარმოების მუშაკს წაუყენა — პროფესიონალიზმიცაა. ამ მოთხოვნამ, თანდათანობით, უაღრესად ვიწრო სპეციალიზაციის ხასიათი მიიღო. მაგრამ ადამიანის ინტერესთა და შესაძლებლობათა გაცალმხრივებისგან თვითდაცვის ინსტინქტმაც არ დააყოვნა და გაჩნდა სპეციალიზაციისგან განსხვავებული დამატებითი გატაცებების მთელი სისტემა. ეს ტენდენცია ჰობის ცნებით იქნა ფიქსირებული.

ჰობი დაძაბული პროფესიული საქმიანობისაგან განმუხტვისა და თავისუფალი დროის შემავსებელი გატაცებაა. სოციოლოგების დაკვირვებით უკვე პლანეტარულ მასშტაბებს მიაღწია ამგვარი დამატებითი გატაცებების მოდურობამ. საუკუნის სულიერი ცხოვრების ამ ტენდენციაში ათასგვარმა პარადოქსებმაც იჩინეს თავი. ყოველ სფეროში იძალა უცნაური უკუშექცევადობის ინერციამ, როდესაც სპეციალისტს შეენაცვლა იმიტატორი, მცოდნეს — დილეტანტი, პროფესიონალს — მოყვარული. ასეა მწერლობაშიც...

და სწორედ ასეთ ატმოსფეროში ცხოვრობს ჩვენს წინაშე 70 წლის მწერალი და შემოქმედი-მკლევარი აკაკი გაწერელია...

და მე მეჩვენება, რომ დღესაც კი მისი თავისუფალი დროის გატაცება მხოლოდ მისივე ლიტერატურული პროფესიონალიზმია. ამ სფეროში დგას იგი როგორც პრობლემებისა და გატაცებათა ამოუწურავი საგანძურის ხელგაშლილი მფლობელი და მომწესრიგებელი. სრულიად აშკარაა, რომ ეს არის აკაკი გაწერელიას — მკვლევარისა და მწერლის ისეთი თვისება, რომელსაც უყოყმანოდ აღიარებენ ისინიც, რომლებიც მის ამა თუ იმ შეხედულებას არ იზიარებენ...

მე ბევრჯერ მიფიქრია, თუ რაგვარად უნდა მოხერხდეს მწერლობისადმი და პოეტიკის საკითხებისადმი მისი დამოკიდებულების კვალიფიცირება. არის ეს მისი ტკბობის საგანი თუ ვნება? საშუალება თუ მიზანი? მსუბუქი გართობა თუ შინაგანი ცხოვრების საზრისი?

ვგონებ, ყოველი და არც ერთი მათგანი!

მაშ რა? — თავად ცხოვრება!..

აბა სხვანაირად როგორ უნდა მომხდარიყო, რომ დროის დინებასთან შეჭიდებული მისი მოუსვენარი ძიებების ბაღში შემოდგომის მიწურულის ფოთლებშემოძარცული ხეების ნაცვლად ჰყვავის ნაყოფებით დახუნძლული „ხე ცხოვრებისა“...

დიდი სიცოცხლისათვის ნიშანდობლივ უკიდურესობათა შეჯახებების ფონზე, ბობოქრობისა და უდრტვინველი სიმშვიდის მიმოქცევებში იფურცლებიან ამ ბაღის მაღალი ხეები...

თავის გარშემო ისინი სცემენ შუქ-ჩრდილებს, რომელთა კონტურებშიც იკითხება კამეების პლასტიკა...

გიორგი გაჩეჩილაძე

●

მისი სახე, ჭაბუკური ხალისი კიდევ ერთხელ ცხადყოფენ როგორ ვლინდება სულიერი კულტურა გარეგნობაში. სრულიად უცნობიც იგრძნობს და მიხვდება, რომ იგი ინტელექტუალური სამყაროს ბინადარია.

მისი მსჯელობა მუდამ ზუსტია, არსებულ ფაქტებზე დაყრდნობილი, რაციონალური და პოეტური მღელვარებით შეფერილი. მე მეჩვენება, რომ თავის ფილოლოგიურ და პოეტიკურ შრომებში მთელი სიცოცხლე ებრძოდა საკუთარ ბუნებაში გაღვიძებულ და ამხედრებულ პოეტს.

სულ ერთია, პეტრე იბერის ბიოგრაფიას იკვლევს თუ ქართული კლასიკური ლექსის სტრუქტურას ადგენს, რუსთაველის მსოფლმხედველობას სწავლობს თუ გალაკტიონს იგონებს — ყველგან მისი მსჯელობის საფუძველია პოეტის შენიღბული ტემპერამენტი, რადგან პოეზია მხოლოდ ლექსის თხზვას როდი ნიშნავს, იგი არის სულის ენერგია, ათას პროზაში გავლილი და სარკეში არეკლილი, რომელიც აღვიძებს მკითხველში დათრგუნვილ და ჩამქრალ შემოქმედებით იმპულსს. თუ არ იქნა მიღწეული ასეთი ემოციური თანხმოვანება — მკითხველს არ სჯერა მწერლისა და მეცნიერისა.

სინათლე და წესრიგი — აი რა ამშვენებს აკაკი გაწერელიას სტილსა და პიროვნებას, რასაც იგი სხვებისგანაც მოითხოვს. ეს ორი თვისება კლასიკური კულტურის ატრიბუტებია, რომელთა ტრანსფორმაციას იგი სკეპტიკურად ეკიდება. მართალია, თავად მოდერნისტული ხელოვნების ატმოსფეროში აღიზარდა, მაგრამ მიუწვდომლობის ნორმად ეგულება ის მწერლები, რომლებიც მეოცე საუკუნის მიღმა დგანან.

შეიძლება მოძველდეს გამოკვლევა, დაირღვეს კონცეფცია, გახუნდეს ლოგიკური სისტემა, მაგრამ ესე პოეტური სულის განათებაა, გემოვნებისა და სტილის ზეიმია, და ამიტომ გაცილებით დიდხანს უძლებს ჟამთა შემოტევას, დროის კაპრიზებს, ატმოსფეროს ცვალებადობას. არათუ უძლებს, უფრო ნათლადაც ილანდება თავისი ეპოქის ფერად ფონზე. ამიტომ ჰყავს ესოდენ ბევრი თაყვანისმცემელი აკაკი გაწერელიას ნატიფი გემოვნებით დაწერილ ესეებს.

ამას წინათ „ცისკარმა“ მკითხველებს შესთავაზა აკაკი გაწერელიას ორი ახალი ნოველა „ორეული“ და „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“. მათ, ისევე როგორც ადრე გამოქვეყნებულ მხატვრულ ქმნილებებს (მაგ., „შამილი ანუ სევილიის დილა მთაში“) კლასიკური, რეალისტური პროზის სინათლე ადგას.

„ჩვენ გვევლინება მაღალნიჭიერი, ფრიად ფაქიზი გემოვნების მწერალი“, — ასე იხსენიებდა მას 1945 წელს კონსტანტინე გამსახურდია.

მას შემდეგ საუკუნის მესამედმა განვლო. აკაკი გაწერელიამ მრავალი ესე და მონოგრაფიული გამოკვლევა გამოაქვეყნა. მისი სახელი მტკიცედ აღიბეჭდა ქართველი ხალხის ცნობიერებაში. გამართლდა დიდი მწერლის მოლოდინი, მაგრამ არა ისე, როგორც ვარაუდობდა: აკაკი გაწერელიამ მეტი ენერგია, ნიჭი და ცოდნა შეალია ქართული ლიტერატურული აზროვნების ამაღლებასა და განმტკიცებას.

სოსო სიგუა

●

მწიგნობრის ლამპარი აკაკი გაწერელიას მშობლიურ კუთხეში [illegible], მეექვსე საუკუნიდან [illegible] ბატონი აკაკის ბავშვობისა და ყრმობის ჟამს [illegible] სანახებში ჯერ კიდევ იდგა სული ძველი საქართველოსი; მარტვილის ტაძრის სამრეკლოზე ისევ გუგუნებდნენ ზარები, ანალოეზე ესვენა ვეება კრებული „გულანი“, ხოლო ნახარეობუს მონასტერში, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის საძვალესთან კვლავ ფხიზლობდნენ მწუხრის ლიტურგიაზე შეკრებილი ბერები. აკაკი გაწერელიას ბავშვობისა და ყრმობის ჟამს ცნობისწადილით უფურცლავს ანალოეზე დასვენებული ვეება კრებული „გულანი“ და იდუმალი ლტოლვა მშობლიური კულტურისადმი „დიდო-ვოი ნანას“ ხმოვნებასთან და მარტვილის ზარების გუგუნთან ერთად სულის საძირკვლამდე ჩასჭრია.

სწავლის მძებნელად თბილისის უნივერსიტეტში მოსულ ჭაბუკს საშური ხვედრი რგებია; ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, კორნელი კეკელიძისა და აკაკი შანიძისათვის, დიმიტრი უზნაძისა და გიორგი ჩუბინაშვილისათვის უსმენია. ხოლო შეხვედრები და მეგობრობა გალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიასთან, გიორგი ლეონიძესა, იური ტინიანოვსა და გერონტი ქიქოძესთან, შალვა დადიანთან მეორე უნივერსიტეტად უნდა ქცეულიყო მისთვის.

აკაკი გაწერელიას მეცნიერული მემკვიდრეობა ჩემს თაობას წარმოუდგება ხორცშესხმად იმ იდეალისა, რომლის თანახმადაც, ლიტერატურათმცოდნეობა არა მხოლოდ მეცნიერებაა, არამედ ხელოვნებაც. ამნაირი ნიჭითა და მადლით განათებული აკაკი გაწერელია მკითხველს საიმედოდ მიუძღვება პოეტურ ხილვათა უმშვენიერესსა და უსაიდუმლოეს სამყაროში. ფილოსოფიურ-თეოლოგიურ განსჯათა ლაბირინთებში ქართულად მეტყველთაგან ბევრი ვერ გაგვიწევს უკეთეს თანადგომას, ვიდრე ბატონი აკაკი. იგი არასოდეს წასულა მორალურ მრწამსთან გარიგების გზით, არასოდეს უფიქრია, რომ ენა აზრთა შეფარვის საშუალებაა, ხოლო სიბრძნე სიკეთესა და მართლმოღვაწეობაში უძებნია. „ეშმაკობა — ნიჭია უგნურთა“, — ამ გამონათქვამს გაიხსენებს ხოლმე. უმაღლეს სიკეთედ სულის თავისუფლებას თვლის.

რაინდისა და მწიგნობრის შემართებით დგას იგი დღესაც.

აკაკი გაწერელიას სამუშაო ოთახის კედლიდან ორიოდე სურათი გადმოგვცქერის — ილია ჭავჭავაძისა და პოლ ვალერისა. მაგიდაზეც ჩვენი დროის უდიდესი ფრანგი პოეტისა და მოაზროვნის წიგნია გადაშლილი. ფანქრით საგანგებოდ ხაზგასმული აბზაცი ასე იკითხება: „ადამიანი თავისივე სხეულის ჯვარზეა გაკრული. უღონოდ დაბლა დახრილი თავი დახვლეტილი აქვს საკუთარი აზრის ეკლებით“.

ხოლო აზრი, რომელიც ყოველ ცისმარე გაკრთება ხოლმე ამ კაბინეტის მკვიდრის ცნობიერებაში, ასეთია: „მე ვდგები, რათა აღვასრულო ჩემი კაცური საქმე“.

გრივერ ფარულავა

●

ჩვენი ღვაწლმოსილი იუბილარის მეცნიერულ მისწრაფებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ლექსთწყობის საკითხებს.

ერთგან, თავის დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებში, აკაკი გაწერელია ამბობს: ლიტერატურათმცოდნეობაში პოეტიკა ყველაზე რთული დარგია, პოეტიკის შიგნით კი — ვერსიფიკაცია... იგი, მგონი, მათემატიკაზედაც უფრო ზუსტია. შემთხვევითი როდია, რომ დიდი საბჭოთა მათემატიკოსი აკად. კოლმოგოროვი ვერსიფიკაციის საკითხებზე წერს გამოკვლევებს. ვერსიფიკაციის საკითხების ცოდნა (თანამედროვე პოეტიკის დონეზე) — გონებრივი ფუფუნებაა“.

და რაოდენ საგულისხმოა, რომ ციტირებული სტრიქონების ავტორმა ჯერ კიდევ 1929 წელს, ნახევარი საუკუნის წინათ, საქართველოს მწერალთა კრებაზე საგანგებო მოხსენება წაიკითხა — ქართული ლექსთწყობის საკითხებისადმი მიძღვნილი. მას შემდეგ ერთი წუთითაც არ შენელებულა აკაკი გაწერელიას ინტერესი ჩვენი ეროვნული წყობილსიტყვაობის პრობლემათა მიმართ. სწორედ ამ შეუნელებელი ინტერესისა და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გვევლინება 1953 წელს დაბეჭდილი მისი წიგნი „ქართული კლასიკური ლექსი“, რომელშიც ახსნილია ქართული ვერსიფიკაციის რიტმული არსი.

ნაშრომი მკაფიოდ ასახავს რიტმიკის სფეროში საუკუნეთა მანძილზე დაგროვილ მიღწევებს — მათი კრიტიკული ათვისებისა და გამოვლენის მიზნით. დრომ დაადასტურა: განხორციელებულია ავტორის ძნელი და საპატიო ამოცანა — ზუსტი ანალიზი და მეცნიერული დეფინიცია იმ ელემენტებისა, რომლებიც, ძირითადად, თვითონ ქართული ენის ფონეტიკური წყობით არის განსაზღვრული. სალექსო მახვილის, რიტმის, რითმის, სტროფისა და საზომთა ყოველმხრივი შესწავლის ნიადაგზე აკაკი გაწერელიამ ნათელყო ქართული ლექსის ჭეშმარიტი ბუნება — სილაბურ-ტონურობა. ეს ჭეშმარიტება კიდევ უფრო გამოიკვეთა ჩვენი წყობილსიტყვაობის გამო ამ ბოლო წლებში გამართული პაექრობისას. ამას, უწინარეს ყოვლისა, გვიდასტურებს თვით აკაკი გაწერელიას ახალი წიგნი, 1974 წელს დასტამბული — „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი. ქართული და ზოგადი ვერსიფიკაციის კვლევის მეთოდოლოგიისათვის“.

ორივე ნაშრომი მეცნიერული ნიშანსვეტია მათთვის, ვისაც გულწრფელად იზიდავს ქართული მეტრიკის რამბა.

როლანდ ბერიძე

### ძველი ფოტოალბომიდან

# ორი იუბილარი



საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლის იუბილე მაისში აღინიშნება. მგოსნის უხუცეს მეგობარსაც — 90 წლის პეტრე ჭაბუკიანს — ზეიმი აქვს.

ამ ორი მოღვაწის ურთიერთობაზე (შეხვედრებსა და საუბრებზე) მკითხველს სხვა დროს მოვუთხრობ, ამჯერად კი მათი მეგობრობის დამადასტურებელ მხოლოდ ორ დოკუმენტს შევეხები.

გიორგი ლეონიძემ 1963 წლის 31 მაისს უკანასკნელად ინახულა გელათის ტაძარი. აკადემიის შენობის წინ, დიდებულ თაღებქვეშ, პოეტი დადგა და მარჯვენა ხელი გადახვია პეტრე ჭაბუკიანს. ფოტოკორესპონდენტმა ბონდო მაღლაფერიძემ ეს მომენტი ფირზე აღბეჭდა.

ამ სურათითაც იგრძნობა როგორ აფასებდა ლეონიძე პეტრეს. თვით პეტრესაც ეს სურათი თავის სხვა სურათებს ურჩევნია და განსაკუთრებულ ტკბილ მოგონებას აღუძრავს.

დაუვიწყარია ლეონიძისეული საახალწლო მილოცვაც, რომელშიც ვკითხულობთ:

„მედეას ქალაქის პოეტებს, მეცნიერებს, კოცნით ვულოცავ ახალ წელს. აბა, თქვენ იცით, ოჯებო, მედეას შვილებო, როგორ გაახარებთ საქართველოს ახალი მიღწევებით, რომ გახდეთ ღირსნი პეტრე ჭაბუკიანის აღიარებისა. დამიკოცნეთ ძვირფასი და საამაყო ქართველი პეტრე ბატონი (1964 წ.)“.

მეათე ათწლეულში გადამდგარი პეტრე ჭაბუკიანი სიყვარულით ინახავს დიდი ქართველი პოეტის ხსოვნას.

მიხეილ ალავიძე

### საზღვარგარეთის ცხოვრება

# ამერიკული არჩევნები: ფული და დემაგოგია

შაბათობით ნიუ-იორკში, ტაიმს-სკვერზე, ყოველთვის ხალხმრავლობაა. ელვარებს კინოთეატრებისა და სტრიპტიზულ დაწესებულებათა ნეონის რეკლამა. იქვე ჯგუფჯგუფად დაეხეტებიან მოცლილები და უსაქმო ტურისტები, ხოლო მათ უკან, ჩრდილში, მონადირეებივით დაძვრებიან მეძავეები, სუტენერები და ჯიბგირები. მაგრამ ამათგან არც ერთი არ ყოფილა 9 თებერვალს, შუადღეს, როდესაც ტაიმს-სკვერი ისე გაიჭედა ხალხით, რომ ბროდვეისა და მეშვიდე ავენიუზე მოძრაობაც კი შეწყდა. ათასობით ქალაქელი გარს შემოერტყა ტაიმს-სკვერის შუაგულში დადგმულ მინის ჯიხურს — ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შესაკრებ პუნქტს. ჯიხურს სამ მწკრივად მდგარი შეიარაღებული პოლიციელები იცავდნენ. დემონსტრანტები ხმაშეწყობილად გაიძახოდნენ: „ომი არ გვინდა!“. „ჯარში არ წავალთ!“. ამ ზღვა ხალხში ჩემს გვერდით მდგარი მოზარდი გოგონა აფრიალებდა მუყაოს ტრანსპარანტს: „ძირს ქალთა სამხედრო გაწვევა!“. იქვე მასზე უფროს ქალიშვილს ეკავა ხელით ნაწერი პლაკატი: „მე არავის არ მოვკლავ“. ჩვენს წინ, შემაღლებულ ფიცარნაგზე მდგარი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალი ბელა აბცუგი ამბობდა: „ჩვენ ვკიცხავთ პრეზიდენტს: ნაცვლად იმისა, რომ ინფლიაციას შებრძოლებოდა, როგორც აღგვითქვა, მან ახალგაზრდობის ჯარში გაწვევა წამოიწყო!“.

ყურადღების სხვა რამეზე გადამტანი ეს ფოკუსი, „ცივი ომის“ სულისკვეთების შესაფერისი ფოკუსი, ახლა კარტერს იმისათვის სჭირდება, რომ ხელახლა აირჩიონ პრეზიდენტად. წინა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ განახლდა იძულებითი რეგისტრაცია 12 მილიონი წვევამდელისა, რომელთა რიცხვშიც პირველად იქნენ შეტანილი ქალები. ჯარში მასობრივი გაწვევისათვის ასეთი სამზადისი მეორე მსოფლიო ომის მერე აღარ ყოფილა. ხოლო ამერიკელ ქალთა სამხედრო გაწვევა მშვიდობიან დროს საერთოდ უპრეცედენტო და პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებელი რამაა. მიუხედავად ამისა, კარტერმა ისტერიულად მოუწოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „საომარი მზადყოფნისაკენ!“ შორეულ ავღანისტანში ამასწინანდელ ამბებთან დაკავშირებით.

ხელისუფალნი უკვე იმუქრებიან, ვინც გაწვევას თავს აარიდებს, ხუთი წლით ციხეში ვუკრავთ თავსო. და აი, ტაიმს-სკვერზე გამართული მიტინგის გარდა, სწრაფი რეაქცია ახალგაზრდობისა, მძაფრი საპროტესტო მანიფესტაციები კოლუმბიის, ჰარვარდის, კენტის, იელის უნივერსიტეტებში და სტუდენტთა სვლა ვაშინგტონში, ლოს-ანჯელესში, სან-ფრანცისკოში, ჩიკაგოსა და სხვა დიდ ქალაქებში. ნიუ-იორკში გამართულ ანტისამხედრო მიტინგზე საქალაქო საბჭოს წევრმა რუთ მესინჯერმა საჯაროდ განაცხადა: „მთელს ამერიკაში წინააღმდეგობას გავუწევთ კარტერის ცდას, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გადააქციოს თავისი სარისკო მილიტარისტული ომის ხორცად ფულად იმ მიზნით, რომ მომავალ არჩევნებში გაიმარჯვოს“.

ტაიმს-სკვერიდან ორი ათასი ნიუ-იორკელი დაიძრა 45-ე ქუჩისა და მედისონ ავენიუს გზაჯვარედინისაკენ, სადაც განლაგდა პრეზიდენტად კარტერის ხელახლა არჩევის აგიტაციის შტაბი. დემონსტრანტებმა კანტორის ფანჯრებს პირველ და მეორე სართულებზე ქვები დაუშინეს და ჩალეწეს. ტროტუარზე ცეცხლს მისცეს კარტერის სურათი და ამერიკული დროშა. სწრაფად ჩაერია პოლიცია: აკივლდნენ სირენები, შეიქნა ხელკეტების ტრიალი, მწარედ იყვირა ვიღაცამ, სამ ყმაწვილს ჩემს თვალწინ ხელები გადაუგრიხეს და სადღაც წაათრიეს. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ყოველივე ეს ხდებოდა ათი წლის წინათ, იმ უსახელო ვიეტნამის ომის დროს, და არა ახლანდელ მშვიდობიან დღეებში, პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის დღეებში...

26 თებერვალს ნიუ-ჰემპშირის შტატში ჩატარდება ეგრეთ წოდებული „პრაიმერიზი“ — პირველადი არჩევნები, პირველი შესარჩევი კენჭისყრა პრეზიდენტობის პრეტენდენტებისათვის რესპუბლიკელებისა და დემოკრატებისაგან. იანვარში და თებერვლის დამდეგს უკვე ჩატარდა შიდაპარტიული კენჭისყრა აიოვასა და მენის შტატებში. პრეზიდენტობის ყველა ახლანდელმა კანდიდატმა ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე ოფიციალურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. ნამდვილად კი, შარშან ზაფხულიდან მოყოლებული, თითოეულმა მეტოქემ შეადგინა საკუთარი წინასაარჩევნო ორგანიზაცია, გააჩაღა მომხრეთა გადაბირება. მოაგვარა ფულის შეგროვების საქმე და ერთი წლით ადრე დაგეგმა თეთრი სახლის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლის სტრატეგია.

იმავ ზაფხულს, საყოველთაო აზრით, ჯიმს კარტერის ბედი წინასწარ გადაწყვეტილი იყო: ამომრჩეველთა გამოკითხვამ აჩვენა კატასტროფული დაცემა მისი პოპულარობისა, რამეთუ მან, დაპირებათა მიუხედავად, არათუ არ შეანელა, არამედ გაზარდა გამანადგურებელი ინფლიაცია, ენერგეტიკული კრიზისი, უმუშევრობა და გაღატაკება მშრომელთა ფართო ფენებისა — მანქანათმშენებლებისა, მეფოლადეებისა, მშენებლებისა, ფერმერებისა. საბოლოოდ, პრეზიდენტად კარტერის ხელახლა არჩევის პრობლემის ნაცვლად წამოიჭრა სხვა საკითხი: ვინ შესცვლიდა მას?

მხოლოდ ახლა, უკან თუ მივიხედავთ, და ექვსი თვის წინანდელ ამბავს გავიხსენებთ, შევძლებთ, ბოლოს და ბოლოს, თვალი მივადევნოთ, თუ რაგვარად მოიფიქრეს კარტერმა და მისმა მრჩევლებმა თავიდან აეშორებინათ თითქმის გარდუვალი გაკოტრება. ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების იმედი მათ აშკარად არ ჰქონდათ და არც ისწრაფვოდნენ ამისაკენ. სამაგიეროდ, მკვეთრად შეცვალეს საგარეო პოლიტიკის კურსი, შექმნეს ერთი აურზაური და ინსპირირება „საბჭოეთის საომარი საფრთხის“ შესახებ, დაუწყეს დაშინება საქმეში ჩაუხედავ ობივატელებს და ამით შინაურ, ყოველდღიურ ჭირვარამს აშორეს მათი ყურადღება.

რიგით ამერიკელებს ზავივით დაატყდათ თავს თეთრი სახლის მიერ მოწყობილი საერთაშორისო პროვოკაციები. ჯერ იყო და აგვისტოს მიწურულს ნიუ-იორკის აეროპორტში პოლიციას სამი დღეღამე დაპატიმრებული ჰყავდა საბჭოური ავიალაინერი „ილ-62“. მცირე ხანიც არ გასულა და სექტემბერში მთელი ერთი თვე აურზაური იყო ამტყდარი ვაშინგტონის მიერ შეთითხნილი ჭორის გამო — კუბაში „საბჭოური ბრიგადის“ თაობაზე. ხოლო როგორც კი აშკარა გახდა, რომ ეს სიცრუეა — ოქტომბერში კარტერმა მიიწვია ირანის ლტოლვილი შაჰი, მიიწვია, მიუხედავად იმისა, რომ თეირანიდან მოდიოდა ამერიკელი დიპლომატების პანიკური დეპეშები იმის შესახებ, თუ რა საფრთხე ელოდათ მათ, თუკი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გამოჩნდებოდა დამხობილი ტირანი. მაგრამ თეთრი სახლის გამგებელმა, თუმცა დანამდვილებით იცოდა საბედისწერო შედეგები, მაინც შეიკედლა შაჰი, გააღვივა ირანამერიკის კონფლიქტი: სპარსეთის ყურეში გაგზავნა ავიამზიდებისა და კრეისერების ესკადრა, რათა დაეშინებინა ირანი საზღვაო ბლოკადით, და ამერიკაში გააღვივა თავაწყვეტილი შოვინიზმი. წინასაარჩევნო მიტინგებზე პრეზიდენტის ღრმად მოხუცებული დედა ირწმუნებოდა: ზედმეტი მილიონი დოლარი რომ მქონდეს, მკვლელებს დავიქირავებდი და აიათოლა ჰომეინის მოვაკვლევინებდი!

ახალი, 1980 წლის წინა დღეები კვლავ გააუკუღმართა ვაშინგტონური მილიტარიზმის მორიგმა შეტევამ. პრეზიდენტმა შეაჩერა ქაბული და მოსკოვი, გადადო რატიფიკაცია ხელშეკრულებისა სტრატეგიულ შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ, გაითამაშა ანტისაბჭოური „შოუ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განიზრახა ჩაეშალა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები.

კარტერის ვარაუდი სავსებით ცხადია: თვიდან თვემდე გააცხოველოს საზღვარგარეთული სკანდალებით წინასაარჩევნო კამპანია, თავგზა აუბნიოს ამომრჩევლებს, გააბრიყვოს, და თავი მოაჩვენოს ერის მხსნელად და ბელადად, რათა დამფრთხალმა ხალხმა ხმა მისცეს მას მომავალ ნოემბერში. ამ ჩანაფიქრმა ნაწილობრივ გაუმართლა. აიოვასა და მენში დემოკრატიული პარტიის აქტივისტთა ხმების დათვლის დროს პრეზიდენტმა უკან ჩამოიტოვა ორი მთავარი კონკურენტი — სენატორი ედვარდ კენედი და კალიფორნიელი გუბერნატორი ედმუნდ ბრაუნი.

ჯერჯერობით კარტერის დროებითი და მერყევი უპირატესობა ემყარება მისი მოწინააღმდეგეების პოლიტიკურ სისუსტეს ხელოვნურად გაზვიადებული საომარი ფსიქოზის ვითარებაში. მილიტარისტულ ისტორიაში აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე რესპუბლიკელთა მთავარი კანდიდატები პრეზიდენტის პოსტზე: როლანდ რეიგანი მოუწოდებს კუბის წინააღმდეგ აგრესიული დემარშისათვის, სენატორი ჰოვარდ ბეიკერი გაათრევებული წყევლის OCB-2 ხელშეკრულებას, ჯორჯ ბუში ცდილობს მიაღწიოს პენტაგონის ისედაც კოლოსალურ ასიგნებათა გადიდებას, ჯონ კონელი იბრძვის შუა აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნისათვის.

თეთრ სახლში მთავარი პოსტის დაკავების ყველა პრეტენდენტი უკლებლივ — ამერიკის მმართველი ელიტის უმაღლესი ფენის წარმომადგენელია. მათ შორის განსხვავება, იმისდა მიხედვით, თუ რომელ პარტიას მიეკუთვნებიან, პრაქტიკულად არაფერს არ ნიშნავს. მათ აერთიანებთ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ — კენედის, ბრაუნის, კარტერის, რეიგანის, ბუშის, ბეიკერისა და კონელის მრავალმილიონიანი ქონების პატრონი ოჯახები ერთ კლასს მიეკუთვნებიან. პრეზიდენტის სავარძლის მოსაპოვებლად შეჯიბრება საერთოდ წარმოუდგენელია წინასაარჩევნო მარათონის ძირითადი ლიდერების ძვირადღირებული პაბლისიტისათვის დახარჯული მილიონების გარეშე. მარათონი ჯერ ეს-ეს არის დაიწყო, რეიგანმა კი თვითრეკლამისათვის უკვე დახარჯა შვიდ მილიონამდე დოლარი, კონელიმ — ცხრა მილიონი, ბუშმა — ოთხნახევარი მილიონი, კენედიმ — ოთხი, ბეიკერმა — სამი, კარტერმა — ხუთი, ბრაუნმა — მილიონნახევარი. არადა ჯერ ხომ არ დამდგარა თუნდაც პირველი გამოსაცდელი „პრაიმერიზი“ ნიუ-ჰემპშირში!

ოფიციალურად ამერიკაში არჩევითი თანამდებობის ყოველი კანდიდატის ხაზინას ფედერალური ადმინისტრაცია აკონტროლებს. პროფორმისათვის დადგენილია ფულის შეკრებისა და პერსონალური წინასაარჩევნო კამპანიებისათვის გასაწევი ხარჯის შემზღუდველი კვოტები. არსებითად კი ხდება, მაგალითად, ასეთი რამ: 1979 წლის 20 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დეპუტატი ნიუ-იორკიდან, 53 წლის ჯონ მერფი გამოცხადდა ქალაქის აეროპორტში, რათა საიდუმლოდ შეხვედროდა არაბ შეიხს ჰამირ აბდულ რაჰმანს და თვალთაგან მოფარებულ ადგილას ჩუმად მიეღო მისგან კარგა მძიმე პორტფელი, რომელშიც 50 ათასი დოლარი ნაღდი ფული ეწყო. ასეთი გახლდათ არალეგალური შენატანი მერფის წინასაარჩევნო კამპანიის ფონდში, რის სანაცვლოდაც მერფი კისრულობდა უცხოელი ქრთამის მომცემისათვის ეშოვნა ამერიკული პასპორტი და დახმარებოდა ნიუ-იორკში სარფიანი ფინანსური მაქინაციების გაშლაში.

კულისებსიქითა ბნელ ბიზნესში მერფი ძველთაგანვე მოღვაწეობდა: მრავალგზის მოუხვეჭია კარგა დიდი ქრთამი მაფიის მეთაურის თომას გამბინოსაგან, ნიკარაგუას ყოფილი დიქტატორის სამოსასაგან, ირანელი ექს-შაჰის ამერიკაში მცხოვრები ნათესავებისაგან. ამჯერად პირველად წაასწრეს კონგრესმენს დანაშაულზე, რადგან მისი ახალი არაბი კლიენტი პოლიციის გადაცმული და გრიმიანი პოლიციელი გამოდგა. ხოლო მერფისათვის დასტა-დასტად შეკრული დოლარებით სავსე პორტფელის გადაცემა ფედერალური ბიუროს ფარული კამერით იქნა გადაღებული.

პოლიციამ ანალოგიური მეთოდით ერთდროულად ამხილა კიდევ ექვსი ყველაზე უფრო გამყიდველი კონგრესმენი ნიუ-ჯერსის, პენსილვანიის, სამხრეთ კაროლინასა და ფლორიდის შტატებიდან. ამ ექვსეულის ძალობილში გამჯდარი სიყვარული ქრთამისა იქამდე მივიდა, რომ ცრუ „შეიხთან“ პირველივე შეხვედრისას პირდაპირ ხელიდან გლეჯდნენ დოლარებიან პორტფელს და იქვე, როგორც ეს მოიმოქმედა ფლორიდელმა კანონმდებელმა რიჩარდ კელიმ, ასიგნაციების დასტებს იჩურთავდნენ ჯიბეებში, უბეში და წინდებშიაც კი. ხოლო მახეში გაბმული მერვე ყალთაბანდი — სენატორი ჰარისონ უილიამსი — წამოეგო საბირჟო აქციების ანკესზე, რომელთა სანაცვლოდ მან ფიცით აღუთქვა „შეიხ რაჰმანს“, რომ მისცემდა მთავრობის ლიცენზიას კაზინოს გასახსნელად.

ყურადსაღებია, რომ მხილებული მექრთამეებიდან აქამდე არც ერთი არაა სამართალში მიცემული, და პროკურატურას არ წაუყენებია ჩადენილი დანაშაულის ბრალდება. მანამდე, ბოლო ათი წლის მანძილზე, 36 ამერიკელი სენატორი და კონგრესმენი მიცემული იყო პასუხისგებაში სხვადასხვა ფინანსიური აფიორისათვის, მაგრამ დამნაშავეთა უმრავლესობა დაუსჯელი დარჩა. ქრთამი და პოლიტიკური მოსყიდვა — განუყრელი კომპონენტებია ხელისუფლების ვაშინგტონური მექანიზმისა, რომელიც დაპრხილია დედაქალაქის ლობისტების, „მბიძგავების“, ძლიერი კორპორაციებისა და მრავალი ქვეყნის (მოყოლებული რასისტული სამხრეთ აფრიკისა და დამთავრებული მაოისტური ჩინეთის) სელჩოებების სეიფების ათი ათასობით დოლარით. როგორც დაღვრემით ხუმრობს ვაშინგტონელი სატირიკოსი მარკ რასელი, „არის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რომ გარანტირებული იქნას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ასპროცენტიანი პატიოსნება — მექრთამეობის ლეგალიზება“.

რვა მექრთამე კანონმდებლის ამბის ახლანდელი გახმაურება იმით აიხსნება, რომ შვიდი მათგანი დემოკრატიული პარტიის წევრები არიან, ამიტომაც რესპუბლიკელებმა მაშინვე შექნეს აღშფოთებული გნიასი, რათა ნოემბრის არჩევნებში შეერყიათ დემოკრატთა შანსები. მაგრამ საბოლოოდ ასევე შეიძლება დაზარალდნენ პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატებიც ბუში, კონელი და ბეიკერი, რომლებიც აგრე გარეული იყვნენ დაუშვებელ ფულად მანიპულაციებში, ქრთამების გამოძალვათა ჩათვლით. ხოლო დემოკრატთა შორის ამ საქმეში ეჭვმიუტანელია მარტოოდენ კენედი თავისი ოჯახის ნახევარმილიარდიანი კაპიტალით. სენატორმა განაცხადა, რომ 26 თებერვალს ნიუ-ჰემპშირში შესარჩევი კენჭისყრის წინ თავისი კანდიდატურის მარტო ამ პაწია შტატში სატელევიზიო რეკლამისათვის იგი სულ რაღაც ორიოდ კვირაში დახარჯავს 225 ათას დოლარს. ბეიკერი დახარჯავს 190 ათას დოლარს, კონელი — 160 ათასს, ბუში — 150 ათასს, რეიგანი — 75 ათასს.

ვინ უფრო დაუნანებლად დახარჯავს ფულს, ვინ უფრო ხშირად გაიელვებს ღიმილით ტელეეკრანებზე გასართობ პროგრამათა მოკლე-მოკლე ინტერვალებში, ვინ უფრო ხშირად წამოისვრის სტანდარტულ წინასაარჩევნო ლოზუნგს. მეტი არც არაფერია საჭირო. ამომრჩეველი მაქსიმალურად უნდა მოხიბლო, ოღონდ არამც და არამც არ უნდა გაალიზიანო და ზედმეტად არ უნდა უბიძგო სერიოზული, მწარე დაფიქრებისაკენ.

იონა ანდრონოვი
„ლგ“-ს საკუთარი კორესპონდენტი
„ლგ“, № 8, 1980
ნიუ-იორკი

# ლამაზი სამყაროს კარი

### გოდერძი ჩოხელი

მახსოვს პირველად როგორ მოიტანეს ჩვენს სოფელში კინო. მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი. უკვე წაკითხული მქონდა ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, იმ დღეს კი ეკრანზე უნდა გვენახა.

ვისაც კინო აქამდეც ენახა, იმან თქვა, სანამ კარგა არ დაიწყება, მანამდე ყურებში თითები გაიკეთეთ, თორემ საშინელი ხმა აქვს კინოს და რო დაიწყება, ყურებიდან თითები ნებანება გამოიღეთ, რომ ხმას მიეჩვიოთო. ასეც მოვიქეცით.

დაიწყო კინო. ყველას თითები ყურებში აქვს და პირველი ვერავინ ვბედავთ თითის გამოწევას. ვიღაც ბალღი ტირილით გავარდა ოთახიდან — კაცი ჩემსკენ გამორბის ეკრანიდანაო. როგორც იქნა დავწყნარდით და გამოვიღეთ თითები ყურებიდან. არავითარი საშინელება. ჩვენ საოცარ სამყაროში მოვხვდით... მსახური ვარ და ისეთივე განცდით მივაბიჯებ, როგორც მაშინ, ყურებში თითებგარჭობილმა, პირველად რომ შემოვალე ამ უსაზღვროდ ლამაზი და ადამიანური კინოსამყაროს კარი.

●

1974 წლის 17 აგვისტოს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა რევაზ ჩხეიძის და თენგიზ აბულაძის წერილები, საქართველოში კინოსარეჟისორო ფაკულტეტის გახსნის შესახებ.

რევაზ ჩხეიძე: „დიდი და სასიხარულო ამბავი მოხდა! თბილისში ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართული კინემატოგრაფიის კადრების სამჭედლოს.

კინემატოგრაფიისათვის აუცილებელ მთელ რიგ პროფესიებს (კინორეჟისორებს, ოპერატორებს, კინოდრამატურგებს, კინომსახიობებს) მხოლოდ საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი ამზადებდა მოსკოვში. ამ ინსტიტუტმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ კინოს... ამ ინსტიტუტმა გვასწავლა ჩვენ ანბანი კინოენისა, ჩაგვინერგა სიყვარული ადამიანისა და დიდი რეალისტური ხელოვნებისადმი.

სწორედ დღეს, მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის კურსდამთავრებულები გადაიქცნენ იმ ძალად, ვისაც შესწევს უნარი, მაღალ პროფესიულ დონეზე გაუძღვეს ახალი კადრების მომზადებას... მივესალმები ახალი ფაკულტეტის პირველ მსმენელებს.“

თენგიზ აბულაძე: „წლევანდელი წელიწადი ქართული კინოსათვის მნიშვნელოვან თარიღად დარჩება. სექტემბრიდან ახალდაბადებული კინოსარეჟისორო ფაკულტეტი რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყებს თავის სამოღვაწეო გზას.

...იქნება თუ არა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის პირველი გამოშვება საკავშირო კინოინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დონეზე?

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სტუდენტებს პირველ ხანებში საკმაოდ მძიმე პირობებში მოუწევთ მეცადინეობა (აუდიტორიების ნაკლებობა, საკუთარი საწარმოო ბაზისა და ინვენტარის უქონლობა, სასწავლო ფილმების არარეგულარულად ჩვენება და სხვა, ე. ი. ის, რაც ჰაერივითაა აუცილებელი დამწყები რეჟისორის ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის), ჩვენ მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

რა უდევს საფუძვლად ჩვენს ოპტიმიზმს? ჯერ ერთი — რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში კინოსარეჟისორო ფაკულტეტის გახსნის იდეა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უაღრესად გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად, მათი აქტიური ხელშეწყობით და დახმარებით დღეს უკვე რეალურ ფაქტად იქცა. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ქართული კინოს მესვეურნი, ცდას და მეცადინეობას არ დააკლებენ, რათა უახლოეს დროში ალმოიფხვრას ის ხარვეზი, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. რაც შეეხება მომავალი კინორეჟისორების პედაგოგებს, იმედს გამოვთქვამთ, რომ ისინი არ დაიშურებენ თავიანთ უნარსა და ენერგიას, რათა მომავალ სპეციალისტებს თავიანთი ცოდნა გადასცენ.

მაგრამ თავი და თავი, მაინც თავად სტუდენტები არიან. კინორეჟისორთა პირველი ნაკადი დაკომპლექტებულია, კინოზე ფანატიკურად შეყვარებული, მადლიანიერი, საინტერესო ახალგაზრდობით, ეს კი იმის სრულ რწმენასა და გარანტიას გვაძლევს, რომ ყოველგვარი წვრილმანი დაბრკოლებანი დაძლეული იქნება და ჩვენი ინსტიტუტის პირველი გამოშვება ტოლს არ დაუდებს შემოქმედებით შეჯიბრში საკავშირო ინსტიტუტის ნებისმიერ გამოშვებას. ამ რწმენითა და სურვილებით დავიწყებთ მეცადინეობას პირველ სექტემბერს“.

...იმ პირველი სექტემბრის მერე უკვე ხუთმა სექტემბერმა გაიარა...

აი, ახლა ვზივარ და ვწერ. ჭკუათმყოფელისათვის ალბათ ყველაზე ძნელი საკუთარ თავზე ლაპარაკია; სულ სხვაა როცა შენს მეგობრებზე წერ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს რამდენიმე სიტყვით მოგიყვეთ მათ შესახებ.

იმათგან, ვინც პირველნი ჩაირიცხნენ კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე და სადიპლომო ფილმიც უკვე დაიცვეს, არიან: გურამ პეტრიაშვილი, ასხაშ აბკაროვი, იური კვაჭაძე, მერაბ თავაძე, გია მატარაძე, თემურ ბაბლუანი, შაქრო ჯორჯაძე, რამაზ გიორგობიანი, მარინე ხონელიძე, გოდერძი ჩოხელი. რაკი შესაძლებელი არ იყო ყველას ერთდროულად გადაეღო ფილმი, მალე დიპლომს დაიცავენ ნანა ჯანელიძე, ნანა ჯორჯაძე, ნანა დვალიშვილი, როსტომ ლორთქიფანიძე, ანდრო ქიაურელი, ნოდარ ომიაძე, გიორგი დადიანი, ზურაბ ინაშვილი, გოგიტა ჭუმნია.

თუმცა, სჯობს პირველი კურსიდან დავიწყო:

პირველი კურსი: ორ ჯგუფადა ვართ გაყოფილი: თენგიზ აბულაძის შემოქმედებითი სახელოსნო (პედაგოგი ირაკლი კვირიკაძე) და ლანა ღოღობერიძის შემოქმედებითი სახელოსნო (პედაგოგი ომარ გვასალია). ჩვენ ნება-ნება მივაბიჯებთ კინოს უსაზღვროდ საინტერესო სამყაროში. ვსწავლობთ მსახიობის ოსტატობას, ვდგამთ ნაწყვეტებს მოთხრობებიდან, სადაც ჩვენვე ვთამაშობთ, ვეუფლებით ოპერატორის ხელოვნებას, ვიწრო ფირზე ვიღებთ საკურსო რეპორტაჟებს, ვეცნობით ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. თუმცა სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა ასაკის ხალხი ვართ, მაგრამ კინოს სიყვარულმა ისე შეგვაკავშირა ერთმანეთს, უერთმანეთოდ ვეღარც კი ვძლებთ. თავიდან, რა თქმა უნდა, გვიჭირს, განვიცდით ინვენტარის ნაკლებობას, მაგრამ ჩვენი პედაგოგები და კათედრის გამგე რევაზ ჩხეიძე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი გასაქანი გვქონდეს. გადაუჭარბებლად ვამბობ ამას, რომ ჩვენთვის ისინი მარტო მასწავლებლები კი არა, უფრო ახლობლები გახდნენ.

მე მინდა ერთი-ორი შემთხვევა გავიხსენო: ჩვენს ერთ სტუდენტს გადაღება აქვს ვიღაცის კერძო ბინაში. ეტყობა, ბინის პატრონმა გადაწყვიტა, ხელს მოვითბობო და გადაღება შეაწყვეტინა — სახლში იატაკი და კედლები დამიფხაჭნეთ და სანამ ოთახს არ შემიღებავთ, არ გადაგაღებინებთო. ჩვენი პედაგოგები გადაღებებზე იყვნენ წასულნი. ის სტუდენტი ფილმს ვეღარ იღებს, ბინის პატრონი ფულს თხოულობს. ეს ამბავი პედაგოგ ომარ გვასალიას მივწერეთ. სამი დღის მერე პასუხი მივიღეთ — ომარს საკუთარი ფული ჩაედო კონვერტში და გვწერდა: „იყიდეთ საღებავი, რაზეც გედავებიან, შეღებეთ და გააგრძელეთ გადაღება“. ჩვენთვის ეს ბევრს ნიშნავდა. ამ წერილმა ფული კი არ მოგვიტანა, მოგვიტანა რწმენა, სიყვარული და ერთგულება კინოხელოვნებისა. მარტო ომარი კი არა, იგივეს აკეთებდა ირაკლი კვირიკაძე, ლანა ღოღობერიძე და თენგიზ აბულაძე... იგივეს აკეთებდა თითოეული ჩვენი კურსელი, ერთის გაჭირვება მეორის გაჭირვება იყო, ერთმანეთის გამარჯვება გვიხაროდა.

მინდა კიდევ ერთი შემთხვევა მოვიგონო: ვიღებდი სადიპლომო ფილმს მთებში. მთავარი როლის შემსრულებელი ქალი გაუკუღმართდა და შუა გადაღებაზე მიმატოვა, დაჰკრა ფეხი და საზაფხულო სამოვრებისაკენ გაუდგა აღმართს; როგორ არ ვეხვეწე, ვინ არ მივუგზავნე, მაგრამ ვერაფრით ვეღარ დავიყოლიე. რა მექნა, ჩამოვედი თბილისში და მოვუყევი ჩემს მასწავლებელს. იმავე დღეს წამომყვა ომარ გვასალია მთაში. საკუთარი მანქანა ჩემი სოფლისაკენ მიმავალ შავგზაში ჩაუვარდა და იქვე დატოვა; თვითონ მოიკიდა კინოაპარატურა; მერე თავსხმა წვიმაში მთებში წავიდა იმ ჩემ კინოგმირთან და მანამდე არ მოეშვა, მანამ არ დაიყოლია. ეს შეიძლება ვინმეს დიდ რამედ არ მოეჩვენოს, მაგრამ მე ამ შემთხვევამ საბოლოოდ შემაყვარა კინოსამყარო.

ალბათ ჩემს ამხანაგებსაც ექნებათ გასახსენებლად ბევრი ასეთი შემთხვევა. ყველაფერს, რა თქმა უნდა, არ მოვყვებით, ისე, ჩვენთვის, გულისგულში შევინახავთ ნაპერწკლად, რომ შემდგომში, როცა გაგვიჭირდება, ასეთი გახსენებებით გავთბეთ.

ბატონი თენგიზ წერდა: იქნება თუ არა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის პირველი გამოშვება საკავშირო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დონეზე?

თითქოს ამ კითხვის საპასუხოდ, პირველი სიხარული მარინე ხონელიძის საკურსო ფილმმა „პატარა მეგობრებმა“ მოგვიტანა. 1975 წელს კიევში გამართულ საკავშირო ახალგაზრდულ კინოფესტივალზე, სადაც საკავშირო კინოინსტიტუტის ფილმებიც მონაწილეობდა, მარინე ხონელიძის ფილმმა პირველი პრიზი აიღო. ეს დიდი გამარჯვება იყო.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე ჩვენთვის დაარსდა სასწავლო კინოსტუდია, სადაც ვიღებდით და სადაც ამჟამადაც იღებენ ჩვენი მომდევნო კურსები საკურსო ფილმებს. „ქართული ფილმის“ დირექტორი რევაზ ჩხეიძე კინოსტუდიაში ყველაფერს აკეთებდა, რომ როგორმე ხელი არ შეგვშლოდა — საკურსო ფილმებს კინოსტუდიის სამონტაჟო მაგიდებზე ვამონტაჟებდით, იქვე ვახმოვანებდით და ეს ყველაფერი ხდებოდა მათივე კადრების უშუალო დახმარებით.

ძალიან საინტერესო და ბევრის მომცემი იყო მსახიობის ოსტატობის ლექციები. ჩვენ დავდგით რამდენიმე საკურსო სპექტაკლი: ა. სულაკაურის „მტრედები“, სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“, ა. ვამპილოვის „ოცი წუთი ანგელოზთან“ და რამდენიმე ნაწყვეტი ქართული მოთხრობებიდან. ამან ბევრი რამ შეგვძინა.

...განვლო ხუთმა წელმა. დიპლომების დაცვის დღეს ყველანი საოცრად ვღელავდით. ღელავდნენ ჩვენი მასწავლებლები. სადიპლომო კომისიას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე. აი, რა თქვა ბატონმა ვახტანგმა:

„დიდი სიამოვნება მომანიჭა კინოფაკულტეტის დიპლომანტების ფილმებმა. უნდა მოგახსენოთ, რომ ორმოცი წელიწადია დიპლომების დაცვას ვესწრები და ჯერ არ მინახავს, სადმე ასეთ მაღალ დონეზე ჩატარებულიყოს დიპლომების დაცვა. განსაკუთრებით მეამაყება, რომ ჩვენთან, საქართველოში უკვე არის ეროვნული სკოლა და ამ სკოლაში გაიზარდა პირველი თაობა, რომელთაც უკვე შეუძლიათ თავიანთი სათქმელი, თავიანთი სიხარული, თავიანთი სატკივარი... ასე მგონია, აქ ვინც რომ გვყავს, სხვა კაცი ვიქნები, სხვანაირი თვალით შევხედავ ცხოვრებას...

მე ვულოცავ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, ფაკულტეტს, დიპლომანტებს...“

რევაზ ჩხეიძე: „უნდა ვიამაყოთ, რომ ჩვენმა ინსტიტუტმა გამოუშვა ასეთი შესანიშნავი კადრები, რომელთაც უკვე თქვეს თავიანთი სათქმელი კინოხელოვნებაში. გაივლის წლები და ამათი ფილმები უფრო მეტად დაფასდება.

მე სიამოვნებით ვუყურებდი დიპლომანტების ფილმებს და მეამაყებოდა, ასეთი მოაზროვნე ახალგაზრდები რომ გვყავს“.

ეს გახლავთ ამონაწერები სადიპლომო დაცვის ოქმიდან.

ყველამ ხუთებზე დავიცავით დიპლომი. ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში ალბათ ყველაზე დიდი დღე იყო. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ კურსდამთავრებულები „ქართულ ფილმში“ მიგვიღო რეჟისორებად. მისივე ინიციატივით კინოსტუდიის ბაზაზე, ჩვენთვის გაიხსნა გაერთიანება „დებიუტი“, რომელსაც ხელმძღვანელობს კინორეჟისორი რევაზ ესაძე. აქ შესაძლებლობა გვექნება გამოვავლინოთ ჩვენი უნარი. აქ პირველ დამოუკიდებელ ფილმებს გადავიღებთ.

როგორ ფილმებს გადავიღებთ?

ეგ მომავლის საქმეა...

მისაღებ გამოცდებზე ასეთი კითხვისათვის უნდა გაგვეცა პასუხი: ჩემი მომავალი ფილმის თემა, შინაარსი, განწყობილება...

აი, რამდენიმე ჩემი თანაკურსელის მაშინდელი პასუხი:

„ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს, დედაჩემის შეკითხვას მაგონებს, საღამოობით რომ მაძლევს ხოლმე, ხვალ რას ჩაიცვამო?.. ყველაფერი ამინდზეა დამოკიდებული“.

„ერთხელ მიმღებ პუნქტში ბოთლებს ვაბარებდი.

უამრავი ბოთლი იდგა: დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი, თეთრი და მწვანე, გარეცხილი და გაურეცხავი, თავმოტეხილი და სულ დამტვრეულიც ეყარა კუთხეში.

იყვნენ მოლოდინში.

ზოგში სიტკბო ჩაისხმება და ზოგში სიმწარე, ზოგში დამათრობელი სითხე და ზოგში სუნამო, ზოგში წამალი და ზოგში საწამლავი.

სხვადასხვა იარლიყებით აჭრელდებიან. დაიცლებიან და მოლოდინში იქნებიან, სანამ სხვა არ აავსებს ვინმე.

...ადამიანები გამახსენდნენ და ვიფიქრე: თუ ადამიანი ხარ, გულზე ხელს ნუ დაიკრეფ, თავად აივსე და სხვაც აავსე სიკეთით“.

მაშინ სითამამეც გვქონდა და თითქმის უფლებაც ასეთი პასუხებისა. ახლა კი... „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“-ო, ნათქვამია.

ჩვენ დავამთავრეთ ინსტიტუტი, მაგრამ ჯერ არ დაგვიმთავრებია მთლიანად, მალე კიდევ მოგვიწევს მღელვარება, როცა ჩვენი ამხანაგები წარმოადგენენ თავის სადიპლომო ფილმებს.

ჩვენს შემდეგ კიდევ არიან სხვა კურსები (კინოდოკუმენტალისტები, მულტიპლიკატორები, სამეცნიერო-პოპულარული) რომელთაც ე. შენგელაია, ს. ჩხაიძე, ბ. ხოტივარი, რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე და სხვა კინორეჟისორები ხელმძღვანელობენ.

ვუსურვებ მათაც წარმატებით დაემთავრებინოთ ინსტიტუტი და შემდეგში უფრო შორს გაეტანოთ მსოფლიოში ქართული კინოს სახელი.



„მომავალ შეხვედრამდე“ — რეჟისორი გურამ პეტრიაშვილი.



„მიწის მზომელები“ — რეჟისორი გოდერძი ჩოხელი.

## „ცისკარი“ № 2

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერი, რომელიც იხსნება ზაურ ბოლქვაძის ლექსით — „სამამულო სიმფონია“. ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე დალილა ბედიანიძის, ავთანდილ სვანის, ავთანდილ ჩხაიძის, მაყვალა გონაშვილის, ალუდა არაბულის, ფრიდონ ხალვაშის, შალვა საბაშვილის, ილია ბეჟიაშვილისა და იოსებ აფციაურის ლექსები.

პროზის განყოფილება გთავაზობთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის, დავით ასკურავას, გივი ბოსტოღანაშვილისა და მორის მიშველაძის მოთხრობებს.

ჟურნალი აგრძელებს ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლების“ ბეჭდვას.

„ლენინიანა“ — ამ რუბრიკით დაბეჭდილია შოთა რევიშვილის წერილი — „ლენინის სახე გერმანულ ლიტერატურაში“.

„წერილების“ განყოფილება წარმოდგენილია შალვა ამისულაშვილისა და ხვთისო ზარიძის წერილებით.

„ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“ — ამ რუბრიკით იბეჭდება მაკა ჯოხაძის წერილი — „პროფესიონალები პროფესიონალების წინაშე“.

რუბრიკა „მეცნიერება“ გთავაზობთ გურამ თანჯიკიძის წერილს — „პიკასო-ფიზიკა — XX საუკუნის აბრაკადაბრა?“

ჟურნალის ბოლო ფურცელზე დაბეჭდილია იუმორი.

პარასკევს, 29 თებერვალს, საქართველოს მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექცია და კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ამავე ბიბლიოთეკაში (კეცხოველის 5) აწყობენ აკაკი გაწერელიას ბოლო წლებში დაბეჭდილი მოთხრობების საჯარო განხილვას.

მომხსენებელი აკაკი ბაქრაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი.
380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლჟინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 07679